

სს „კრედიო ბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	18
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	19
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	20
7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	20
8. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	21
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	40
10. ძირითადი საშუალებები.....	40
11. არამატერიალური აქტივები.....	41
12. იჯარა.....	42
13. გადასახადები.....	44
14. სხვა ფინანსური აქტივები.....	45
15. სხვა არაფინანსური აქტივები.....	46
16. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი ...	46
17. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში.....	47
18. მომხმარებელთა ანგარიშები.....	48
19. სხვა ვალდებულებები.....	48
20. საკუთარი კაპიტალი.....	48
21. პირობითი ვალდებულებები.....	49
22. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.....	50
23. საკომისიო ხარჯი.....	51
24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან.....	51
25. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	51
26. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	51
27. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი.....	52
28. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები.....	52
29. რისკის მართვა.....	53
30. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	65
31. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	68
32. კაპიტალის ადეკვატურობა.....	69
33. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	70

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კრედიო ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „კრედიო ბანკის“ (შემდგომში - „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია ბანკის 2020 წლის წლიურ ანგარიშში.

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ბანკის 2020 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ბანკის 2020 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.



**Building a better
working world**

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.



**Building a better
working world**

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



**Building a better
working world**

ჩვენ აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'M. Khusidze', written over a light blue circular stamp.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით



თბილისი, საქართველო

2021 წლის 23 აპრილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2020	2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	165,631	76,941
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	50,351	23,811
წარმოებული ფინანსური აქტივები	7	2,944	1,160
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	1,036,426	834,500
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	43,512	29,051
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	13	2,397	-
აქტივის გამოყენების უფლება	12	9,418	12,230
ძირითადი საშუალებები	10	10,638	10,125
არამატერიალური აქტივები	11	10,377	8,697
სხვა ფინანსური აქტივები	14	9,525	6,492
სხვა არაფინანსური აქტივები	15	9,105	7,225
		1,350,324	1,010,232
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	7	422	394
მომხმარებელთა ანგარიშები	18	154,083	96,738
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	13	-	4,560
საიჯარო ვალდებულებები	12	11,125	13,226
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	16,17	956,102	701,954
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	1,137	2,396
სხვა ვალდებულებები	19	27,904	16,222
სუბორდინირებული ვალი	16,17	35,913	22,054
		1,186,686	857,544
სულ ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	4,400	4,400
სხვა რეზერვები		-	(92)
გაუნაწილებელი მოგება		159,238	148,380
		163,638	152,688
სულ საკუთარი კაპიტალი			
		1,350,324	1,010,232
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ

ზაალ ფირცხალავა 
 ირაკლი ზათიაშვილი 
 2021 წლის 23 აპრილი

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

5-70 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<i>2020</i>	<i>2019</i>
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		224,248	187,221
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		3,126	1,450
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები და ნაშთები		2,196	2,121
		229,570	190,792
საპროცენტო ხარჯი			
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები		(92,748)	(64,815)
სუბორდინირებული ვალი		(4,950)	(2,197)
მომხმარებელთა ანგარიშები		(5,129)	(2,108)
საიჯარო ვალდებულებები		(1,145)	(1,160)
		(103,972)	(70,280)
		125,598	120,512
წმინდა საპროცენტო შემოსავალი			
საკრედიტო ზარალის ხარჯი ფინანსურ აქტივებზე	8	(35,952)	(15,518)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ხარჯის გაწევის შემდეგ		89,646	104,994
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	22	26,610	22,463
საკომისიო ხარჯი	23	(6,695)	(5,085)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		19,915	17,378
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოურ ვალუტიდან	24	(2,694)	2,057
სხვა საოპერაციო შემოსავალი	25	463	591
სხვა საოპერაციო ხარჯი	26	(284)	(951)
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		17,400	19,075
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	27	(62,961)	(59,251)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	28	(20,644)	(19,213)
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 11, 12	(11,108)	(9,597)
არასაპროცენტო ხარჯი		(94,713)	(88,061)
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		12,333	36,008
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(1,475)	(6,469)
წმინდა მოგება		10,858	29,539
სხვა სრული ზარალი, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მომდევნო პერიოდის მოგებაში ან ზარალში – ბანკის საკრედიტო რისკის გამო იმ ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულის კატეგორიას, მოგებაში ან ზარალში ასახვით		92	(12)
წლის სრული შემოსავალი		10,950	29,527

5-70 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სამართლიანი ღირებულების რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
1 იანვარი, 2019 წ.	4,400	125,157	(80)	129,477
წმინდა მოგება	-	29,539	-	29,539
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	(12)	(12)
წლის სრული შემოსავალი	-	29,539	(12)	29,527
დივიდენდები (მე-20 შენიშვნა)	-	(6,316)	-	(6,316)
31 დეკემბერი, 2019 წ.	4,400	148,380	(92)	152,688
წმინდა მოგება	-	10,858	-	10,858
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	92	92
წლის სრული შემოსავალი	-	10,858	92	10,950
31 დეკემბერი, 2020 წ.	4,400	159,238	-	163,638

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		225,122	193,400
გადახდილი პროცენტი		(99,602)	(70,716)
მიღებული საკომისიო		26,983	23,295
გადახდილი საკომისიო		(6,694)	(5,085)
რეალიზებული შემოსულობა უცხოურ ვალუტებში			
განხორციელებული ოპერაციებიდან		3,556	2,051
სხვა მიღებული შემოსავალი		841	1,122
სხვა გადახდილი ხარჯი		(532)	(1,042)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(61,213)	(60,485)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(18,627)	(19,304)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		69,834	63,236
<i>საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
წარმოებული ფინანსური აქტივები		-	57
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(20,895)	(5,142)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(213,059)	(167,473)
სხვა აქტივები		(2,922)	(3,071)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
მომხმარებელთა ანგარიშები		54,062	67,364
სხვა ფინანსური ვალდებულებები		893	563
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		(112,087)	(44,466)
მოგების გადახდილი გადასახადი		(9,690)	(2,664)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(121,777)	(47,130)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(8,093)	(7,271)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(13,904)	(29,051)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		27	436
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(21,970)	(35,886)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნასესხები სახსრები და სუბორდინირებული სესხები	17	471,756	455,728
ნასესხები სახსრებისა და სუბორდინირებული სესხების დაფარვა	17	(237,900)	(338,723)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	12	(5,326)	(4,006)
გადახდილი დივიდენდები	20	-	(6,316)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		228,530	106,683
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		84,783	23,667
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3,907	1,063
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	76,941	52,211
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	165,631	76,941

5-70 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ორგანიზაციული მოწყობა და საქმიანობა

სს „კრედო ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) არის ქართული კომერციული ბანკი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკისგან (შემდგომში „სებ“) მიღებული აქვს სრული საბანკო საქმიანობის ლიცენზია. ბანკი მხარს უჭერს საქართველოში კერძო ეკონომიკის განვითარებას მიკრო, მცირე და საშუალო ზომის მეწარმეებისა და კომპანიებისთვის საკრედიტო და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით. ბანკის საიდენტიფიკაციო კოდია 205232238. ბანკის იურიდიული მისამართია: რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა # 27, თბილისი, საქართველო.

მფლობელები

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინფორმაცია ბანკის მესაკუთრეების შესახებ ასეთია:

აქციონერი	წილობრივი მონაწილეობა %
„Access Microfinance Holding AG“	60.20%
Triodos SICAV II (Triodos Microfinance Fund)	9.90%
Legal Owner Triodos funds B.V., როგორც Triodos Fair Share Fund-ის კანონიერი მესაკუთრე	9.90%
ResponsAbility Participations AG	9.34%
ResponsAbility SICAV (Lux) – responsAbility SICAV (Lux) Microfinance Leaders Fund	1.87%
ResponsAbility-ის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების გლობალური ფონდი	8.79%

ბანკის აქციონერთა შორის წილობრივი მონაწილეობა, დივიდენდის მიღებისა და ხმის უფლება განაწილებულია მათ მიერ ფლობილი ჩვეულებრივი აქციების პროპორციულად.

2019 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, 60.2% ხმის უფლებით, არის გერმანული სააქციო საზოგადოება „Access Microfinance Holding AG“.

ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება. ბანკის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც ინიშნებიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. ბანკის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო.

ბიზნესგარემო

ბანკი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. ბანკზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც ახასიათებს განვითარებადი ბაზრის თვისებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა

2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიის სწრაფი გავრცელების გამო, ბევრი ქვეყნის მთავრობამ, მათ შორის საქართველოს მთავრობამაც, შემოიღო ზომები პანდემიასთან საბრძოლველად. ეს ზომები მოიცავს მოგზაურობაზე შეზღუდვებს, კარანტინს, ბიზნესების დახურვას და გარკვეული ადგილების მასშტაბურ ჩაკეტვას. ამ ზომებმა გავლენა მოახდინა გლობალურ მიწოდების ჯაჭვზე, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და ბიზნესსაქმიანობის მასშტაბზე. როგორც მოსალოდნელია, თავად პანდემია და მასთან დაკავშირებით მიღებული საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური ზომები გავლენას მოახდენენ სხვადასხვა სფეროში მოქმედი საწარმოების საქმიანობაზე.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო ქვეყნის მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამა შეიმუშავეს. პროგრამაში შედის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა დაზარალებული დარგებისა და პირების სესხების სუბსიდირება, გადახდების გადავადება და გარკვეული სავალდებულო შეზღუდვების მოხსნა, რათა ფინანსურმა სექტორმა შეინარჩუნოს რესურსების მოწოდების უნარი, ხოლო მომხმარებლებმა თავიდან აიცილონ კოვიდ-19-ის გამო გამკაცრებული ზომების შედეგად ლიკვიდურობის დეფიციტი.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)**კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა (გაგრძელება)**

ბანკი აგრძელებს თავის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე პანდემიისა და ცვალებადი ეკონომიკური პირობების გავლენის შეფასებას.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ბანკმა თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებებში ასახა მომავალი ფულადი ნაკადების გადასინჯული პროგნოზები (მე-8 შენიშვნა).

2. მომზადების საფუძველი**ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული.

ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი (შემდგომში – „ლარი“). ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, გარდა თითო აქციის ღირებულებისა, და თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში**

ბანკმა ვადაზე ადრე გამოიყენა ცვლილება ფასს 16-ში: კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც გამოწვევას სახით ათავისუფლებს მოიჯარეებს იმის შეფასებისგან, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ამ ცვლილებას არსებითად არ უმოქმედია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბანკმა გამოიყენა 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული რამდენიმე სხვა ცვლილება, მაგრამ მათ გავლენა არ მოუხდენიათ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, მოთხოვნამდე ანაზრებს, სებ-ისგან მისაღებ ვალდებულებებს, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, შეუზღუდავი წვდომის მიმდინარე ანგარიშებს და ბანკებში განთავსებულ მოკლევადიან ანაზრებს, რომელთა ვადა მაქსიმუმ სამი თვეა და რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სებ-ში სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს პროცენტთან აქტივებს. რეგულაციის თანახმად ბანკს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა გამოიტანოს ხსენებული დეპოზიტები და, შესაბამისად, ისინი არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ნაწილში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

პირველადი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- ▶ სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბანკი მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ბანკმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი არის სავაჭროდ განკუთვნილი, არის წარმოებული ინსტრუმენტები ან მათზე გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით გამოხატვის უფლება.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს, საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნესმოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესოდ ასახავს, როგორ მართავს ის ფინანსურ აქტივებს თავისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ბანკის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნესმოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, „ყველაზე ცუდი“ და „სტრესული შემთხვევის“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ბანკი ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე სტადიის სახით, იმის განსაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ბანკი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ბანკი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს რისკის მინიმუმზე მეტ მოცულობას ან იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მერყეობა, რომლებიც არ უკავშირდება სესხის დაფარვის ძირითად პირობებს, არ წარმოშობს ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხების გაცემის ვალდებულება

ბანკი იღებს სესხის გაცემის ვალდებულებას. სესხების გაცემის ვალდებულებები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა მიხედვითაც, ნაკისრი ვალდებულების ვადის განმავლობაში ბანკს ევალება სესხის გაცემა მომხმარებლისთვის წინასწარ დადგენილი პირობებით. ეს ხელშეკრულებები ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ბანკი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ბანკი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არ ხდება.

რესტრუქტურირებული სესხები

თუ კლიენტი ვერ ახერხებს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სესხის დაფარვას თავის ფინანსურ მდგომარეობაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზით მომხდარი ცვლილებების გამო, მაგრამ სესხის დაფარვას, სავარაუდოდ, შეძლებს გრაფიკის შეცვლის შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრების ნაცვლად, ბანკი შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირაცია.

ბანკმა შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორც არის მომხმარებლებზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შექმნილს ან შექმნილს გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის ცვლილება;
- ▶ ხომ არ იწვევს ცვლილება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ბანკი აღრიცხავს, როგორც მოდიფიკაციით გამოწვეულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო შემოსავალში, თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი ასევე განმეორებით აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს კლასიფიცირებული საკრედიტო რისკით გაუფასურებულად. როდესაც მოდიფიკაციის შედეგად ხდება აქტივის კლასიფიცირება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, ის დარჩება მე-3 სტადიაზე მანამ, სანამ მომხმარებელი მთლიანად დაფარავს დავალიანებას.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) ან გადასცა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) ან არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ მან გადასცა აქტივის კონტროლი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

ჩამოწერები

ბანკი უიმედოდ მიჩნეულ აქტივებს, როგორც წესი, 180 დღით ვადაგადაცილების შემდეგ ჩამოწერს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჩამოწერის შემდეგ ბანკმა შეიძლება გააგრძელოს სესხის ამოღების პროცესი მისთვის ხელმისაწვდომი ყველა კანონიერი გზის მეშვეობით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, სავალუტო რისკის შემცირების მიზნით, ბანკი აფორმებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, მათ შორის სავალუტო ფორვარდებსა და უცხოური ვალუტის სვოპებს (საკომპენსაციო სესხები) სავალუტო და კაპიტალის ბაზრებზე.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი).

მიუხედავად იმისა, რომ ბანკს აქვს წარმოებული ინსტრუმენტები რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის, ეს ინსტრუმენტები არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგადაფარვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ საწარმოს და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები და ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები ვალდებულებების სახით მაშინ კლასიფიცირდება, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგების შედეგად ბანკს წარმოემოხა ვალდებულება, გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ნასესხები სახსრები შედის ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებსა და სუბორდინირებულ სესხებში და წარმოადგენს ვალდებულებებს ადგილობრივი ბანკების, უცხოური ფინანსური დაწესებულებებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრებისა და მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრებისა და მომხმარებლების მიმართ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ბანკი, როგორც მოიჯარე

ბანკი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ბანკი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლებები, რომლებიც წარმოადგენს საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ბანკი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ ბანკს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ბანკი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ბანკი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს გარკვეული დაბალი (ანუ 15 ათასამდე) ღირებულების მქონე აქტივების იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიანი იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის მუხლებს ან გარიგებებს აქციონერებთან, რომლებიც პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. ასეთ შემთხვევებში მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებით ხდება აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს დასაბეგრი მოგების მიღების ალბათობა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოსაქვითი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გაუნაწილებელ მოგებას) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წლები</u>
შენობები	20
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	2
ავეჯი, ტექნიკა და ინვენტარი	2-5
პროგრამული და კომპიუტერული აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობას (აღიარებულია საწარმოთა გაერთიანებაში), ლიცენზიებს, ძირითად საბანკო პროგრამასა და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფას. ლიცენზიები წარმოადგენს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას. ძირითადი საბანკო პროგრამა არის ბუღალტრული აღრიცხვისა და სესხების პორტფელის მართვის პროგრამა. სხვა პროგრამული უზრუნველყოფა გულისხმობს ბანკის მიერ შექმნილ შიდა პროგრამებსა და სხვა შექმნილ პროგრამებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შექმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და შესაბამისი ხარჯი გაწვევითანავე აისახება მოგებაში ან ზარალში. პირველადი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 2-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან არაკონტრაქტული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდებზე ინფორმაციის წარმოდგენა ხდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მათზე ინფორმაცია წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მასზე ინფორმაცია წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ბანკი გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს სავალ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების (საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების გარდა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება, თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება საკრედიტო რისკით, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული საკრედიტო რისკით, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

შემეწილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ბანკი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების და ამ განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მორგებით. საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შემეწილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე დისკონტირებას.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისთანავე. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს საკომისიო შემოსავალს სიცოცხლის დაზღვევიდან და სხვა მომსახურების ღირებულებას. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება, და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი

მომხმარებლის მიერ ცალკე შესრულებული ოპერაციებიდან გამომდინარე გასამრჯელოს აღიარება ხდება შესაბამისი გარიგების დასრულებისას. გასამრჯელო და გასამრჯელოს ის კომპონენტები, რომლებიც უკავშირდება გარკვეულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება უცხოურ ვალუტაში და, ამავდროულად, სამუშაო ვალუტაშიც, რომლის კონვერტაციაც ხდება გარიგების თარიღისთვის სებ-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახალი კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის/(ზარალის) ნაწილში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის/ზარალის ნაწილში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, იყო 3.2766 ლარი და 2.8667 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა). განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს (IFRS) 17-ს ახალი სააღრიცხვო მოთხოვნა დაემატა დაზღვევის მახასიათებლების მქონე საბანკო პროდუქტებისთვის, რამაც შეიძლება იმოქმედოს იმის განსაზღვრაზე, თუ რომელი ინსტრუმენტები ან ამ ინსტრუმენტების რომელი პროდუქტები ექვევა ფასს 9-ის ან ფასს 17-ის მოქმედების არეალში.

საკრედიტო ბარათები და მსგავსი პროდუქტები, რომლებიც სადაზღვევო დაფარვას შეიცავს: ამ პროდუქტების გამცემთა უმეტესობა შეძლებს გააგრძელოს მათი ამჟამინდელი წესით, ანუ ფასს 9-ის მიხედვით ფინანსურ ინსტრუმენტად აღრიცხვა. ფასს 17 თავისი მოქმედების არეალიდან გამორიცხავს საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს (ან სხვა მსგავს ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს საკრედიტო ან გადახდის სქემებს), რომლებიც აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულების განმარტებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ საწარმო არ ასახავს ცალკეულ მომხმარებელთან დაკავშირებული სადაზღვევო რისკის შეფასებას ამ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების ფასის ოდენობაზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

როდესაც სადაზღვევო დაფარვა შეთავაზებულია საკრედიტო ბარათის სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში, მისი გამცემი ვალდებულია:

- ▶ გამოაცალკევოს სადაზღვევო დაფარვის კომპონენტი და მასზე გამოიყენოს ფასს 17;
- ▶ გამოიყენოს სხვა მოქმედი სტანდარტები (როგორებიცაა ფასს 9, ფასს 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ ან ფასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“) მისი დანარჩენი კომპონენტებისთვის.

სასესხო ხელშეკრულებები, რომლებიც აკმაყოფილებს დაზღვევის განმარტებას, მაგრამ ზღუდავს სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების თანხას იმ ოდენობამდე, რომელიც სხვა შემთხვევაში მოითხოვება ხელშეკრულების მიხედვით დაზღვევის ვალდებულების დასაფარად: ასეთი სესხების გამცემები – მაგ. სესხები სიკვდილის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების დათმობით – უფლება აქვთ გამოიყენონ ან ფასს 9, ან ფასს 17. ეს არჩევანი კეთდება პორტფელის დონეზე და შეუქცევადია.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.

ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 17-ის მიღების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ბანკი აღნიშნულ ცვლილებას გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იგი პირველად იყენებს ცვლილებას და არ მოელის, რომ ეს არსებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება: მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში

2020 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება – მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBOR) შესწორების მეორე ფაზა), ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების ურისკო განაკვეთებით ჩანაცვლებით გამოწვეული ბუღალტრული პრობლემების გადასაჭრელად.

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების შესწორების მეორე ფაზა მოიცავს მთელ რიგ შეღავათს და დამატებით განმარტებებს. შეღავათები ვრცელდება ფინანსური ინსტრუმენტის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე გადატანაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში ცვლილებები, გამარტივებული მიდგომის მიხედვით, უნდა აღირიცხოს, როგორც ცვლილებები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში, თუკი ფინანსური ინსტრუმენტის გადატანა ბანკთაშორისი შეთავაზების საორიენტაციო ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე ხდება ეკონომიკურად თანაბარ პირობებში.

ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების შესწორების მეორე ფაზას ბანკი 2021 წლის 1 იანვრიდან გამოიყენებს. ბანკი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

მოსაზრებები

იჯარები – საიჯარო ვადის განსაზღვრა ვადის განახლების და შეწყვეტის ოფციონის შემცველ ხელშეკრულებებში

ბანკი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის გამოყენების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება. ბანკს არ უღიარებია საიჯარო ვალდებულება საიჯარო გადახდების იმ ნაწილისთვის, რომელზეც მოქმედებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება (ოფციონი) 3-5 წლის შემდგომ პერიოდებში (საიჯარო აქტივების ხასიათიდან გამომდინარე), რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი განსჯის საგანს. იხილეთ მე-12 შენიშვნა.

განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების მისაღებად ბანკის ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში დაეყრდნო თავის განსჯას და პროგნოზებს. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;
- ▶ კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ის ზრდა და გაცვლითი კურსები, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე;
- ▶ საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენების მიზნით.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კოვიდ-19-ის მიმდინარე პანდემიის ფონზე, ბანკმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. კერძოდ, ბანკმა გადასინჯა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნები და ავტომატურად არ მიიჩნევს საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზრდილად, თუ სესხის მოდიფიკაცია ხდება მთავრობის დახმარების ღონისძიებების ფარგლებში, ვინაიდან ამ პორტფელის უდიდესი ნაწილი 2020 წლის მესამე კვარტალიდან კვლავ მოქმედია. ბანკმა ასევე განაახლა საპროგნოზო ინფორმაცია, სავარაუდო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების და სცენარებისთვის მინიჭებული წონების ჩათვლით. კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის სათანადოდ ასახვის მიზნით, ბანკმა გამოიყენა მოდელის შემდგომი კორექტირებები და არსებულ მოდელს დაუმატა დაშვებები ცვლილებებზე სხვადასხვა სექტორში რეიტინგების ცვლილებისა თუ სტრესის ქვეშ მყოფი მაჩვენებლების საფუძველზე. კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პოტენციურ ეფექტთან და სამომავლო აღმავლობის პერსპექტივასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დარჩენილი განუსაზღვრელობის ასახვის მიზნით, ბანკმა განაახლა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის ალბათობაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამოსათვლელად, რისთვისაც ვასიჩკის მოდელიდან გადავიდა წრფივი რეგრესიის მოდელზე, რომელშიც მეტი მაკროეკონომიკური ცვლადი მონაწილეობს. ახალი მოდელი მომზადდა კვიპიემჯი საქართველოს კონსულტაციებით და დამტკიცებით. მოდელის განახლების შედეგად გაიზარდა დეფოლტის ალბათობები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის მიხედვით, რესტრუქტურზაციის სტატუსის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მოვლენის ინდიკატორი იყო, თუმცა, ასეთი სესხებისთვის სახელმწიფო პროგრამით მინიჭებული საშეღავათო პერიოდის გამო, გრაფიკის მოდიფიკაცია არ ჩათვალა საკრედიტო რისკის გაუარესებად, ამრიგად, არ განაპირობა სტადიის შეცვლა. გამონაკლისს წარმოადგენს გარკვეული სესხები ტურიზმის, რესტორნისა და სასტუმროს მომსახურების სფეროებში. იმ სესხებიდან რომელთა რესტრუქტურზაცია მოხდა კოვიდ-19-ის გამო, ბანკმა ჩათვალა, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა ტურიზმის სეგმენტის სესხებზე და აგრეთვე იმ სეგმენტების სესხებზე, რომელთა შემოსავლის წყარო სასტუმროს ან რესტორნის მომსახურებაა. შესაბამისად, მოხმარებლებზე გაცემული სესხები, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება 9,560 ლარია, 1-ლი სტადიიდან მე-2 სტადიაზე გადავიდა და მათთან დაკავშირებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული იქნა აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კრიზისის ეფექტის ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით მოდელის გადასინჯვის, მოდელირების შემდგომი და მოდელირებული შედეგის ზრდის კორექტირებების კუმულაციურმა თანხამ, რომელიც აღიარებულია, როგორც საკრედიტო ზარალის ხარჯი 2020 წლის განახლებულ მოგებასა თუ ზარალში, შეადგინა 9,793 ლარი.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კოვიდ-19-ის კრიზისის ეფექტი სათანადოდ არის ასახული ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და საკრედიტო ხარისხის შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-8 და 29-ე განმარტებით შენიშვნებში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2020	2019
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში და ბანკომატებში	49,935	32,177
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	24,508	10,714
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	91,188	34,050
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	165,631	76,941

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები სრულად მიეკუთვნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების 1-ელ სტადიას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ანგარიშების უმეტესობა განთავსებულია „BB-“ რეიტინგის მქონე ბანკებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებული მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაბრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაბრების 30.77%-ს და 47.06%-ს, შესაბამისად (2019 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 50.23% და ლარი 25.49%).

(ათას ლარში)

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	50,351	23,811
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50,351	23,811

ბანკს ევალება სებ-ში სავალდებულო პროცენტით დეპოზიტის გახსნა კლიენტებისგან და არარეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 5%-25%-ის ოდენობით (2019 წ.: 5%-25%). ბანკი ამ ანაზღაურებიდან იღებს -0.25%-ს (აშშ დოლარი) და 8%-ს (ლარი) (2019 წ.: 1.25% (აშშ დოლარი) და 9% (ლარი).

7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

სავალუტო რისკის შესამცირებლად ბანკი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს (29-ე შენიშვნა). ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად თავიანთ პირობით თანხებთან ერთად. ბრუტოს საფუძველზე აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საბაზისო აქტივის თანხას და მასზე დაყრდნობით ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაში შესული ცვლილებები. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	<i>2020</i>			<i>2019</i>		
	<i>სამართლიანი ღირებულებები</i>			<i>სამართლიანი ღირებულება</i>		
	<i>პირობითი თანხა</i>	<i>აქტივი</i>	<i>ვალდებულება</i>	<i>პირობითი თანხა</i>	<i>აქტივი</i>	<i>პასუხის-მგებლობა</i>
უცხოურ ვალუტაში გაფორმებული ხელშეკრულებები						
სავალუტო სვოპები – ადგილობრივი	65,139	9	422	15,772	197	394
სავალუტო სვოპები – უცხოური	16,383	2,935	-	14,339	963	-
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები		2,944	422		1,160	394

ხელშეკრულებები ფორმდება ქართულ და უცხოურ საწარმოებთან.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სავალუტო სვოპის პოზიციები. სვოპები წარმოადგენს ხელშეკრულების ტიპს, რომელიც ფორმდება ორ მხარეს შორის საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო კურსების მოძრაობების გაცვლის მიზნით წინასწარ შეთანხმებულ (კონკრეტულ) პირობით თანხებზე. რაც შეეხება სვოპ აქტივებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 2,935 ლარია (2019 წ.: 963 ლარი), ბანკმა აღიარა 3,080 ლარი (2019 წ.: 2,135 ლარი) ფულადი უზრუნველყოფის სახით და წარმოადგინა სხვა ვალდებულებებში (მე-19 შენიშვნა). ბანკის სვოპ შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეიძლება უზრუნველყოფის საგანთან გაიქვითოს გარკვეულ გარემოებებში შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების ურთიერთგადაფარვის პირობების თანახმად. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოებული აქტივები და შესაბამისი მიღებული უზრუნველყოფა არ აკმაყოფილებდა გაქვითვის კრიტერიუმებს ბასს 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ მიხედვით.

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხების ჩაშლა პროდუქტის ზოგად ტიპებად:

	2020	2019
აგროსესხები	530,225	440,514
ურბანული სესხები	360,002	281,951
ტურისტული სესხები	54,629	48,889
სხვა	124,742	74,582
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,069,598	845,936
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(33,172)	(11,436)
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,036,426	834,500

სხვა სესხებში შედის ისეთ კლიენტებზე გაცემული სესხებისგან, რომლებსაც შემოსავალი არა ბიზნესიდან, არამედ ხელფასიდან აქვთ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, ბანკის სასესხო პორტფელი დაყოფილია ბიზნესის და სამომხმარებლო სეგმენტებად. ბიზნესდაკრედიტება, თავის მხრივ, იყოფა მიკროსესხების და მცირე და საშუალო ზომის სესხების ქვესეგმენტებად, რომლებიც აგრეგირებულია იმისდა მიხედვით, თუ რა არის მსესხებლის შემოსავლის წყარო – აგრობიზნესი, ტურიზმი თუ ურბანული ბიზნესი. სამომხმარებლო სესხების გაცემა იყოფა სამომხმარებლო და სალომბარდო სესხებად. ბანკმა მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საკრედიტო რისკის პროფილის მიხედვით მოახდინა მათი სეგმენტაცია:

	2020	2019	ხელახლა განაწილება*	2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული
აგრო მიკროსესხები	381,233	214,618	101,919	316,537
სამომხმარებლო სესხები	243,391	58,264	118,002	176,266
ურბანული მიკროსესხები	220,483	142,182	19,967	162,149
აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	203,809	169,188	-	169,188
ტურისტული მიკროსესხები	16,186	17,864	4	17,868
სალომბარდო სესხები	4,496	3,928	-	3,928
აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები	-	239,892	(239,892)	-
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	1,069,598	845,936	-	845,936
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(33,172)	(11,436)	-	(11,436)
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,036,426	834,500	-	834,500

* 2020 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებსა და შიდა პროცესებში ცვლილებების შესვლის შემდეგ, ბანკმა აგრო, ტურიზმის და ურბანული სწრაფი მიკროსესხები სხვა შესაბამის სეგმენტებზე ხელახლა გაანაწილა. ხელახლა განაწილება პერსპექტიულად აისახა ქვემოთ წარმოდგენილი მთლიანი საბალანსო ღირებულებებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიმდინარე პერიოდის მოძრაობაზე, ვინაიდან ხელმძღვანელობამ არაპრაქტიკულად მიიჩნია ხელახლა განაწილების ეფექტის შეფასება სრულად რეტროსპექტიულად.

ბანკი სესხებს გაცემს ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. საერთო სასესხო პორტფელის 90% ლარშია გამოხატული (2019 წ.: 90%).

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამორტიზებული ღირებულებით

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების შემაჯამებელი ანალიზი:

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	820,903	21,226	3,751	56	845,936
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	1,043,130	-	-	-	1,043,130
დაფარული აქტივები გადატანები პირველ სტადიაზე	(820,477)	(8,357)	(690)	(51)	(829,575)
გადატანები მეორე სტადიაზე	3,094	(2,833)	(261)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(110,442)	110,684	(242)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე ჩამოწერილი თანხები	(110)	(19,097)	19,207	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(19,087)	(9)	(19,096)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	13,790	5,796	9,610	7	29,203
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	949,888	107,419	12,288	3	1,069,598

<i>კლიენტებზე გაცემული სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,902	2,935	2,599	-	11,436
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	12,083	-	-	-	12,083
დაფარული აქტივები გადატანები პირველ სტადიაზე	(10,348)	(2,016)	(831)	(28)	(13,223)
გადატანები მეორე სტადიაზე	66	(59)	(7)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(13,117)	13,153	(36)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელზე და ამოსავალ მონაცემებში	15,384	9,687	7,041	35	32,147
ჩამოწერილი თანხები	-	-	(19,087)	(9)	(19,096)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	146	340	9,337	2	9,825
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,116	13,604	9,452	-	33,172

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი სემენტების მიხედვით:

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	237,652	1,221	1,019	-	239,892
სხვა სემენტებზე გადანაწილება სემენტის ძირითადი ტიპის მიხედვით	(237,652)	(1,221)	(1,019)	-	(239,892)
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	-	-	-	-	-

¹ სხვა მოძრაობებში ასევე შედის ცვლილება დარიცხულ პროცენტში და გადატანები სასესხო პორტფელის სემენტებს შორის

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,839	449	848	-	3,136
სხვა სემენტებზე გადანაწილება სემენტის ძირითადი ტიპის მიხედვით	(1,839)	(449)	(848)	-	(3,136)
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	-	-	-	-	-

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>აგრო მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	203,639	9,530	1,446	3	214,618
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	100,772	588	559	-	101,919
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	304,411	10,118	2,005	3	316,537
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	368,775	-	-	-	368,775
დაფარული აქტივები	(300,702)	(3,966)	(236)	(1)	(304,905)
გადატანები პირველ სტადიაზე	685	(558)	(127)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(19,616)	19,802	(186)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(32)	(5,456)	5,488	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(7,165)	-	(7,165)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	4,241	495	3,254	1	7,991
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	357,762	20,435	3,033	3	381,233

<i>აგრო მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,422	1,144	961	-	3,527
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	761	230	467	-	1,458
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	2,183	1,374	1,428	-	4,985
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	3,407	-	-	-	3,407
დაფარული აქტივები	(2,569)	(692)	(365)	(1)	(3,627)
გადატანები პირველ სტადიაზე	19	(17)	(2)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(3,261)	3,282	(21)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(3,194)	3,194	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელზე და ამოსავალ მონაცემებში	3,318	2,181	1,895	1	7,395
ჩამოწერილი თანხები	-	-	(7,165)	-	(7,165)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	41	78	3,215	-	3,334
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,138	3,012	2,179	-	8,329

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	162,681	5,959	505	43	169,188
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	101,302	-	-	-	101,302
დაფარული აქტივები	(82,101)	(1,267)	(69)	(46)	(83,483)
გადატანები პირველ სტადიაზე	1,241	(1,203)	(38)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(45,567)	45,567	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(38)	(1,116)	1,154	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,586)	-	(1,586)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	14,087	3,732	566	3	18,388
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	151,605	51,672	532	-	203,809

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	654	860	237	-	1,751
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	1,263	-	-	-	1,263
დაფარული აქტივები	(496)	(466)	(77)	(23)	(1,062)
გადატანები პირველ სტადიაზე	(36)	36	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,921)	2,921	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(439)	439	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელსა და ამოსავალ მონაცემებში	2,281	2,933	716	23	5,953
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,586)	-	(1,586)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	23	(136)	564	-	451
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	768	5,709	293	-	6,770

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>ურბანული მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138,099	3,591	482	10	142,182
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	19,790	104	73	-	19,967
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	157,889	3,695	555	10	162,149
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	208,395	-	-	-	208,395
დაფარული აქტივები	(148,478)	(1,795)	(146)	(4)	(150,423)
გადატანები პირველ სტადიაზე	418	(384)	(34)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(20,070)	20,093	(23)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(37)	(3,390)	3,427	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(3,044)	(9)	(3,053)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,138	760	1,514	3	3,415
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	199,255	18,979	2,249	-	220,483

<i>ურბანული მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	955	326	299	-	1,580
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	149	35	61	-	245
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	1,104	361	360	-	1,825
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	1,995	-	-	-	1,995
დაფარული აქტივები	(1,413)	(303)	(125)	(4)	(1,845)
გადატანები პირველ სტადიაზე	15	(12)	(3)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,192)	2,194	(2)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(1,423)	1,423	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში	2,449	1,535	1,508	11	5,503
ჩამოწერილი თანხები	-	-	(3,044)	(9)	(3,053)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	46	159	1,433	2	1,640
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,004	2,511	1,550	-	6,065

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რებული	სულ
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,411	632	221	–	58,264
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	117,086	529	387	–	118,002
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	174,497	1,161	608	–	176,266
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	350,134	–	–	–	350,134
დაფარული აქტივები	(273,725)	(914)	(231)	–	(274,870)
გადატანები პირველ სტადიაზე	708	(646)	(62)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(15,330)	15,362	(32)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(3)	(8,946)	8,949	–	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	(7,058)	–	(7,058)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(5,563)	309	4,173	–	(1,081)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	230,718	6,326	6,347	–	243,391

სამომხმარებლო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	921	142	175	–	1,238
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	929	184	320	–	1,433
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	1,850	326	495	–	2,671
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	5,234	–	–	–	5,234
დაფარული აქტივები	(5,782)	(529)	(252)	–	(6,563)
გადატანები პირველ სტადიაზე	68	(66)	(2)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(4,512)	4,525	(13)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(5,292)	5,292	–	–
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში	7,235	2,398	2,836	–	12,469
ჩამოწერილი თანხები	–	–	(7,058)	–	(7,058)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	42	201	4,069	–	4,312
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,135	1,563	5,367	–	11,065

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სალომზარდო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზული	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,898	30	-	-	3,928
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	2,438	-	-	-	2,438
დაფარული აქტივები	(1,815)	(31)	(1)	-	(1,847)
გადატანები პირველ სტადიაზე	5	(5)	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(356)	356	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(38)	38	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(37)	-	(37)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(12)	5	21	-	14
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,158	317	21	-	4,496

სალომზარდო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	64	1	-	-	65
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	46	-	-	-	46
დაფარული აქტივები	(51)	(1)	(3)	-	(55)
გადატანები პირველ სტადიაზე	-	-	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(21)	21	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(30)	30	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში	(23)	62	5	-	44
ჩამოწერილი თანხები	-	-	(37)	-	(37)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	-	1	16	-	17
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	54	11	-	80

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

ტურისტული მიკროსესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შეუძენილი გაუფასურ-რებული	სულ
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,523	263	78	-	17,864
გადანაწილებული სწრაფი სესხებიდან	4	-	-	-	4
2020 წლის 1 იანვარი, ხელახლა განაწილებული	17,527	263	78	-	17,868
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	12,086	-	-	-	12,086
დაფარული აქტივები	(13,656)	(384)	(7)	-	(14,047)
გადატანები პირველ სტადიაზე	37	(37)	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(9,503)	9,504	(1)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(151)	151	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(197)	-	(197)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(101)	495	82	-	476
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,390	9,690	106	-	16,186

ტურისტული მიკროსესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შეძენილი ან შეუძენილი გაუფასურ-რებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	47	13	79	-	139
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	138	-	-	-	138
დაფარული აქტივები	(37)	(25)	(9)	-	(71)
გადატანები მეორე სტადიაზე	(210)	210	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(58)	58	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელებსა და ამოსავალ მონაცემებში	124	578	81	-	783
ჩამოწერილი თანხები	-	-	(197)	-	(197)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(6)	37	40	-	71
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	56	755	52	-	863

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების შემაჯამებელი ანალიზი:

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შეუმნილი გაუფასურ-რებული</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	661,375	24,585	3,123	166	689,249
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	957,968	-	-	-	957,968
დაფარული აქტივები	(786,061)	(5,294)	(701)	(45)	(792,101)
გადატანები პირველ სტადიაზე	6,227	(5,872)	(355)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(19,900)	20,505	(605)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(55)	(13,388)	13,443	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(19,000)	(143)	(19,143)
სავალუტო კურსის და სხვა მომართები ¹	1,349	690	7,846	78	9,963
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	820,903	21,226	3,751	56	845,936

<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შეუმნილი გაუფასურ-რებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4,787	2,547	2,164	8	9,506
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	7,156	-	-	-	7,156
დაფარული აქტივები	(11,213)	(1,002)	(171)	(51)	(12,437)
გადატანები პირველ სტადიაზე	113	(100)	(13)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(6,362)	6,432	(70)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(90)	(8,930)	9,020	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში	6,371	3,552	9,350	187	19,460
ჩამოწერილი თანხები	-	-	(19,000)	(143)	(19,143)
სავალუტო კურსის და სხვა მომართები	5,140	436	1,319	(1)	6,894
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,902	2,935	2,599	-	11,436

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კორპორატიული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი სემენტების მიხედვით:

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	216,635	1,342	1,206	2	219,185
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	351,660	-	-	-	351,660
დაფარული აქტივები	(311,431)	(786)	(267)	(2)	(312,486)
გადატანები პირველ სტადიაზე	621	(552)	(69)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(5,704)	5,788	(84)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(4,044)	4,044	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(7,240)	-	(7,240)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები ¹	(14,129)	(527)	3,429	-	(11,227)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	237,652	1,221	1,019	-	239,892

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,476	450	931	-	2,857
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	2,074	-	-	-	2,074
დაფარული აქტივები	(3,460)	(137)	(43)	(2)	(3,642)
გადატანები პირველ სტადიაზე	17	(13)	(4)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,336)	2,357	(21)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(3,120)	3,120	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელზე და ამოსავალ მონაცემებში	2,528	988	2,131	2	5,649
ჩამოწერილი თანხები	-	-	(7,240)	-	(7,240)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,540	(76)	1,974	-	3,438
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,839	449	848	-	3,136

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>აგრო მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	175,579	11,810	937	25	188,351
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	213,937	-	-	-	213,937
დაფარული აქტივები	(185,497)	(1,926)	(128)	(2)	(187,553)
გადატანები პირველ სტადიაზე	1,067	(957)	(110)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(3,914)	4,177	(263)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(28)	(4,036)	4,064	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(5,217)	(35)	(5,252)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	2,495	462	2,163	15	5,135
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	203,639	9,530	1,446	3	214,618

<i>აგრო მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	175,579	11,810	937	25	188,351
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	213,937	-	-	-	213,937
დაფარული აქტივები	(185,497)	(1,926)	(128)	(2)	(187,553)
გადატანები პირველ სტადიაზე	1,067	(957)	(110)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(3,914)	4,177	(263)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(28)	(4,036)	4,064	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(5,217)	(35)	(5,252)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	2,495	462	2,163	15	5,135
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	203,639	9,530	1,446	3	214,618

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>აგრო მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,238	1,082	629	-	2,949
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	1,505	-	-	-	1,505
დაფარული აქტივები	(2,513)	(308)	(49)	(11)	(2,881)
გადატანები პირველ სტადიაზე	27	(24)	(3)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(1,313)	1,340	(27)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(19)	(2,537)	2,556	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელეებსა და ამოსავალ მონაცემებში	1,191	1,112	3,066	46	5,415
ჩამოწერილი თანხები	-	-	(5,217)	(35)	(5,252)
სავალუტო კურსის და სხვა მომრაობა	1,306	479	6	-	1,791
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,422	1,144	961	-	3,527

<i>აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	126,889	5,605	68	86	132,648
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	133,303	-	-	-	133,303
დაფარული აქტივები	(98,732)	(1,139)	(118)	(7)	(99,996)
გადატანები პირველ სტადიაზე	3,396	(3,318)	(78)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(6,094)	6,190	(96)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(1,604)	1,604	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,387)	(65)	(1,452)
სავალუტო კურსის და სხვა მომრაობა	3,919	225	512	29	4,685
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162,681	5,959	505	43	169,188

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	822	513	33	-	1,368
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	1,385	-	-	-	1,385
დაფარული აქტივები	(2,326)	(337)	(35)	(26)	(2,724)
გადატანები პირველ სტადიაზე	30	(29)	(1)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(1,395)	1,404	(9)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(11)	(1,006)	1,017	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელეებსა და ამოსავალ მონაცემებში	1,040	468	1,250	92	2,850
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,387)	(65)	(1,452)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,109	(153)	(631)	(1)	324
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	654	860	237	-	1,751

ურბანული მიკროსესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	106,144	5,213	745	53	112,155
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	158,144	-	-	-	158,144
დაფარული აქტივები	(116,836)	(1,226)	(99)	(34)	(118,195)
გადატანები პირველ სტადიაზე	850	(810)	(40)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,368)	2,513	(145)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(26)	(2,181)	2,207	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(3,348)	(43)	(3,391)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(7,809)	82	1,162	34	(6,531)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138,099	3,591	482	10	142,182

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>უზბანული მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	715	411	448	8	1,582
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	1,014	-	-	-	1,014
დაფარული აქტივები	(1,468)	(194)	(30)	(12)	(1,704)
გადატანები პირველ სტადიაზე	23	(23)	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(638)	648	(10)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(16)	(1,150)	1,166	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში	649	483	2,119	47	3,298
ჩამოწერილი თანხები	-	-	(3,348)	(43)	(3,391)
სავალუტო კურსის და სხვა მომართა	676	151	(46)	-	781
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	955	326	299	-	1,580

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რეზერვი</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	31,221	541	157	-	31,919
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	77,175	-	-	-	77,175
დაფარული აქტივები	(58,336)	(189)	(56)	-	(58,581)
გადატანები პირველ სტადიაზე	236	(191)	(45)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(1,504)	1,521	(17)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(1)	(1,381)	1,382	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,740)	-	(1,740)
სავალუტო კურსის და სხვა მომართა	8,620	331	540	-	9,491
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,411	632	221	-	58,264

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შემენილი ან შექმნილი გაუფასურ-რებული	სულ
მოსალოდნელი					
საკრედიტო ზარალი					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	461	87	119	-	667
ახალი წარმოშობილი ან					
შემენილი აქტივები	1,032	-	-	-	1,032
დაფარული აქტივები	(1,272)	(26)	(12)	-	(1,310)
გადატანები პირველ სტადიაზე	16	(11)	(5)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(626)	629	(3)	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(1)	(1,050)	1,051	-	-
პერიოდის განმავლობაში					
სტადიებს შორის გადატანილი					
დავლიანების გავლენა					
პერიოდის ბოლოსთვის					
მოსალოდნელ საკრედიტო					
ზარალზე და ცვლილებები					
მოდელებსა და ამოსავალ					
მონაცემებში	870	470	722	-	2,062
ჩამოწერილი თანხები	-	-	(1,740)	-	(1,740)
სავალუტო კურსის და სხვა					
მოძრაობა	441	43	43	-	527
2019 წლის 31 დეკემბრის	921	142	175	-	1,238
მდგომარეობით					

სალომხმარებლო სესხები	პირველი ეტაპი	მე-2 სტადია	მესამე ეტაპი	შემენილი ან შექმნილი გაუფასურ-რებული	სულ
მთლიანი საბალანსო					
ღირებულება					
2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	4,575	26	-	-	4,601
ახალი წარმოშობილი ან					
შემენილი აქტივები	2,241	-	-	-	2,241
დაფარული აქტივები	(2,922)	(19)	(27)	-	(2,968)
გადატანები პირველ სტადიაზე	41	(28)	(13)	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(90)	90	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(40)	40	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	-	-	-
სავალუტო კურსის და სხვა					
მოძრაობა	53	1	-	-	54
2019 წლის 31 დეკემბრის	3,898	30	-	-	3,928
მდგომარეობით					

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>სალომზარდო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შეცმნილი გაუფასუ-რებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	74	2	-	-	76
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	35	-	-	-	35
დაფარული აქტივები	(124)	-	(1)	-	(125)
გადატანები პირველ სტადიაზე	-	-	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(30)	30	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(30)	30	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელსა და ამოსავალ მონაცემებში	59	14	6	-	79
ჩამოწერილი თანხები	-	-	-	-	-
სავალუტო კურსის და სხვა მომრავლობა	50	(15)	(35)	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	64	1	-	-	65

<i>ტურისტული მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემენილი ან შეცმნილი გაუფასუ-რებული</i>	<i>სულ</i>
მოლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	332	48	10	-	390
ახალი წარმოშობილი ან შემენილი აქტივები	21,508	-	-	-	21,508
დაფარული აქტივები	(12,307)	(9)	(6)	-	(12,322)
გადატანები პირველ სტადიაზე	16	(16)	-	-	-
გადატანები მეორე სტადიაზე	(226)	226	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	-	(102)	102	-	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(68)	-	(68)
სავალუტო კურსის და სხვა მომრავლობა	8,200	116	40	-	8,356
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,523	263	78	-	17,864

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

<i>ტურისტული მიკროსესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურ-რებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	2	4	-	7
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	111	-	-	-	111
დაფარული აქტივები	(50)	-	(1)	-	(51)
გადატანები მეორე სტადიაზე	(24)	24	-	-	-
გადატანები მესამე სტადიაზე	(43)	(37)	80	-	-
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის გადატანილი დავალიანებების გავლენა პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და ცვლილებები მოდელსა და ამოსავალ მონაცემებში	34	17	56	-	107
ჩამოწერილი თანხები	-	-	(68)	-	(68)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	18	7	8	-	33
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47	13	79	-	139

ზედა ცხრილში ასახული მოძრაობა არ შეიცავს ჩამოწერილი აქტივების ამოღებას, რომლითაც მცირდება მოგებაში ან ზარალში ასახული საკრედიტო ზარალის ხარჯი. მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის ხარჯის შეჯერება 2020 წლისა და 2019 წლისთვის ასე გამოიყურება:

<i>2020</i>	<i>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დანარჩენი, დავალიანების ამოღების გათვალისწინების გარეშე</i>	<i>დავალიანების ამოღება</i>	<i>საკრედიტო ზარალის ხარჯი მოგებაში ან ზარალში ასახვით</i>
სამომხმარებლო სესხები	15,452	(1,264)	14,188
აგრო მიკროსესხები	10,509	(2,180)	8,329
ურბანული მიკროსესხები	7,293	(1,025)	6,268
აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	6,605	(30)	6,575
ტურისტული მიკროსესხები	921	(381)	540
სალომბარდო სესხები	52	-	52
აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები	-	-	-
	40,832	(4,880)	35,952

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

2019	<i>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დანარიცხი, დავალიანების ამოღების გათვალისწინების გარეშე</i>	<i>დავალიანების ამოღება</i>	<i>საკრედიტო ზარალის ხარჯი მოგებაში ან ზარალში ასახვით</i>
აგრო, ტურისტული და ურბანული სწრაფი მიკროსესხები	7,519	(360)	7,159
აგრო მიკროსესხები	5,830	(2,098)	3,732
ურბანული მიკროსესხები	3,389	(1,506)	1,883
სამომხმარებლო სესხები	2,311	(189)	2,122
აგრო, ტურისტული და ურბანული სესხები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის	1,835	(1,372)	463
ტურისტული მიკროსესხები	200	(28)	172
სალომბარდო სესხები	(10)	(3)	(13)
	21,074	(5,556)	15,518

მოდფიცირებული და რესტრუქტურზებული სესხები

ბანკი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც მოლაპარაკების შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შემენისას ან შექმნისას გაუფასურებულად.

2020 წლის განმავლობაში ბანკმა მოახდინა გარკვეული კორპორატიული და კომერციული სესხების პირობების მოდიფიცირება, მათ შორის, გადახდის გადავადება, მთავრობის მიერ კოვიდ 19-ის პანდემიასთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებების ფარგლებში. ბანკი ამ მოდიფიკაციებს არაარსებითად მიიჩნევს. ბანკმა აღიარა წმინდა მოდიფიკაციის ზარალი 642 ლარის მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცხრილში მოცემულია მე-2 და მე-3 სტადიის აქტივები, რომლებიც პერიოდის განმავლობაში შეიცვალა. ბანკს მოდიფიკაციის შედეგად არსებითი ზარალი არ განუცდია.

	2020	2019
31 დეკემბრის მდგომარეობით რესტრუქტურზებული სესხები	97,499	20,498

უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა ინსტრუმენტები

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

10 ათას აშშ დოლარზე მეტი პირველადი თანხის სესხები უზრუნველყოფილია. უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპებია მიწა და სხვა უძრავი ქონება, ავტომობილები და ოქრო.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფის საგანს არ აქვს რამე არსებითი გავლენა მე-3 სტადიის სესხებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

მე-15 შენიშვნაში ასახულია ინფორმაცია დასაკუთრებული უზრუნველყოფის შესახებ.

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სასესხო პორტფელის დარგობრივი და გეოგრაფიული ანალიზი

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს სესხებს, რომლებიც გაიცა საქართველოს ეკონომიკის შემდეგ დარგებში მოქმედ მომხმარებლებზე:

	<u>2020</u>	<u>2019</u>
სოფლის მეურნეობა	398,003	349,093
ვაჭრობა	242,944	193,219
სამომხმარებლო	184,658	186,575
მომსახურება	187,552	86,915
წარმოება	33,495	17,836
ტრანსპორტირება	20,980	12,035
სხვა	1,966	263
	<u>1,069,598</u>	<u>845,936</u>
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(33,172)	(11,436)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა	<u><u>1,036,426</u></u>	<u><u>834,500</u></u>

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	<u>2020</u>	<u>2019</u>
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები (BB რეიტინგით)	17,390	2,916
უცხოური ემიტენტების კორპორაციული ობლიგაციები (AAA რეიტინგით)	26,122	26,135
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები	<u><u>43,512</u></u>	<u><u>29,051</u></u>

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და 1-ელ სტადიას მიკუთვნებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

10. ძირითადი საშუალებები

2020 წელს ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>მიწა და შენობა-ნაგებობები</i>			<i>პროგრამული და კომპიუტერული აღჭურვილობა</i>		
	<i>(საიჯარო ქონების გაუმჯობესების ჩათვლით)</i>	<i>ავეჯი, ტექნიკა და ინვენტარი</i>	<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>კომპიუტერული აღჭურვილობა</i>	<i>სულ</i>	
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2019 წ.	1,343	10,122	3,429	9,205	24,099	
შემოსვლები	81	2,688	240	1,296	4,305	
გასვლები	-	(379)	(44)	(107)	(530)	
31 დეკემბერი, 2020 წ.	<u>1,424</u>	<u>12,431</u>	<u>3,625</u>	<u>10,394</u>	<u>27,874</u>	
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2019 წ.	(629)	(6,231)	(2,159)	(4,955)	(13,974)	
ცვეთის დანარიცხი	(290)	(1,806)	(212)	(1,457)	(3,765)	
გასვლები	-	364	44	95	503	
31 დეკემბერი, 2020 წ.	<u>(919)</u>	<u>(7,673)</u>	<u>(2,327)</u>	<u>(6,317)</u>	<u>(17,236)</u>	
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	714	3,891	1,270	4,250	10,125	
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>505</u>	<u>4,758</u>	<u>1,298</u>	<u>4,077</u>	<u>10,638</u>	

(ათას ლარში)

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2019 წელს ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>მიწა და შენობა-ნაგებობები</i>		<i>პროგრამული და კომპიუტერული აღჭურვილობა</i>		
	<i>(საიჯარო ქონების გაუმჯობესების ჩათვლით)</i>	<i>ავეჯი, ტექნიკა და ინვენტარი</i>	<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>		<i>სულ</i>
თვითღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ.	1,485	8,831	3,178	6,649	20,143
შემოსვლები	409	2,067	326	2,840	5,642
გასვლები	(551)	(776)	(75)	(284)	(1,686)
31 დეკემბერი, 2019 წ.	1,343	10,122	3,429	9,205	24,099
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2018 წ.	(641)	(5,277)	(1,986)	(4,061)	(11,965)
ცვეთის დანარიცხი	(249)	(1,668)	(248)	(1,156)	(3,321)
გასვლები	261	714	75	262	1,312
31 დეკემბერი, 2019 წ.	(629)	(6,231)	(2,159)	(4,955)	(13,974)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	844	3,554	1,192	2,588	8,178
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	714	3,891	1,270	4,250	10,125

სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება იყო 9,248 ლარი (2019 წ.: 6,413 ლარი).

11. არამატერიალური აქტივები

2020 წელს არამატერიალური აქტივების მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>ლიცენზიები, უფლებები, პატენტები</i>	<i>ძირითადი საბანკო პროგრამა</i>	<i>სხვა პროგრამული უზრუნველყოფა</i>	<i>მომხმარებლებთან ურთიერთობა</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება					
31 დეკემბერი, 2019 წ.	5,542	2,751	1,677	3,238	13,208
შემოსვლები	494	1,536	1,785	-	3,815
31 დეკემბერი, 2020 წ.	6,036	4,287	3,462	3,238	17,023
დაგროვილი ამორტიზაცია					
31 დეკემბერი, 2019 წ.	(2,112)	(885)	(650)	(864)	(4,511)
ამორტიზაციის დანარიცხი	(572)	(515)	(402)	(646)	(2,135)
31 დეკემბერი, 2020 წ.	(2,684)	(1,400)	(1,052)	(1,510)	(6,646)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,430	1,866	1,027	2,374	8,697
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,352	2,887	2,410	1,728	10,377

(ათას ლარში)

11. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

2019 წელს არამატერიალური აქტივების მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>ლიცენზიები, უფლებები, პატენტები</i>	<i>ძირითადი საბანკო პროგრამა</i>	<i>სხვა პროგრამული უზრუნველყოფა</i>	<i>მომზარებლებთან ურთიერთობა</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება					
31 დეკემბერი, 2018 წ.	4,923	1,142	1,045	3,238	10,348
შემოსვლები	619	1,609	632	–	2,860
31 დეკემბერი, 2019 წ.	5,542	2,751	1,677	3,238	13,208
დაგროვილი ამორტიზაცია					
31 დეკემბერი, 2018 წ.	(1,629)	(415)	(588)	(219)	(2,851)
ამორტიზაციის დანარიცხი	(483)	(470)	(62)	(645)	(1,660)
31 დეკემბერი, 2019 წ.	(2,112)	(885)	(650)	(864)	(4,511)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,294	727	457	3,019	7,497
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,430	1,866	1,027	2,374	8,697

12. იჯარა

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა 2020 წელს ასეთი იყო:

	<i>აქტივის გამოყენების უფლება (ოფისები და სხვა უძრავი ქონება)</i>
31 დეკემბერი, 2019 წ.	16,257
შემოსვლები	2,398
გასვლები და ჩამოწერები	(494)
31 დეკემბერი, 2020 წ.	18,161
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2019 წ.	(4,027)
ცვეთის დანარიცხი	(5,210)
გასვლები და ჩამოწერები	494
31 დეკემბერი, 2020 წ.	(8,743)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2019 წ.	12,230
31 დეკემბერი, 2020 წ.	9,418

(ათას ლარში)

12. იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა 2020 წელს ასეთი იყო:

	<i>საიჯარო ვალდებულებები</i>
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,226
შემოსვლები	2,525
საპროცენტო ხარჯი	1,145
გადახდები	(6,472)
სავალუტო კურსის ეფექტი	701
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,125

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა 2019 წელს ასეთი იყო:

	<i>აქტივის გამოყენების უფლება (ოფისები და სხვა უძრავი ქონება)</i>
31 დეკემბერი, 2018 წ.	-
ფასს 16-ზე გადასვლა	12,810
1 იანვარი, 2019 წ.	12,810
შემოსვლები	4,033
გასვლები და ჩამოწერები	(586)
31 დეკემბერი, 2019 წ.	16,257
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2018 წ.	-
ცვეთის დანარიცხი	(4,613)
გასვლები და ჩამოწერები	586
31 დეკემბერი, 2019 წ.	(4,027)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2018 წ.	-
31 დეკემბერი, 2019 წ.	12,230

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა 2019 წელს ასეთი იყო:

	<i>საიჯარო ვალდებულებები</i>
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
ფასს 16-ზე გადასვლა	12,810
შემოსვლები	4,033
საპროცენტო ხარჯი	1,160
გადახდები	(5,166)
სავალუტო კურსის ეფექტი	389
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,226

2020 წელს ბანკმა აღიარა 232 ლარის ხარჯი მოკლევადიანი იჯარებიდან (2019 წ.: 138). იჯარებთან დაკავშირებით გადინებული ფულადი სახსრები სულ 6,704 ლარს გაუტოლდა (2019 წ.: 5,298). 2020 წელს ბანკს ასევე ჰქონდა 2,398 ლარის ოდენობის არაფულადი შემოსვლები აქტივის გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებებზე (2019 წ.: 4,033). საიჯარო გადახდები იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებით, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია და რასთან დაკავშირებითაც არ აღიარებულა საიჯარო ვალდებულება, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 18,273 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 14,694).

(ათას ლარში)

13. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2020	2019
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	2,734	6,610
დროებითი სხვაობების წარმოქმნისა და აღდგენის გამო გადავადებული გადასახადის ხარჯი	(1,259)	(141)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	1,475	6,469

ბანკის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

	2020	2019
დასაბეგრი მოგება	12,333	36,008
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	1,850	5,401
გამოუქვითავი ხარჯები	86	312
წლის განმავლობაში რეალიზებული საგადასახადო ზარალი	(388)	1,531
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	(679)	(294)
სამომავლო საგადასახადო განაკვეთებისა და მათი მოძრაობის ცვლილებების ეფექტი	606	(481)
მოგების გადასახადის ხარჯი	1,475	6,469

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა და შემდეგ 2018 წელს შეიცვალა 2023 წლის 1 იანვრით. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „*მოგებიდან გადასახადები*“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებში, როდესაც ახალი რეგულაცია ამოქმედდება, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული გადასახადის შეფასების მიზნით. პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯის თაობაზე საგადასახადო რეგულაციის შეცვლის ეფექტი 606 ლარს შეადგენდა (2019 წ.: 481 ლარის საგადასახადო სარგებელი).

(ათას ლარში)

13. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

დროებითი სხვაობები ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და გადასახადის დასაბეგრად გამოყენებულ თანხებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო დავალიანებას 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში ასეთია:

	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>	<i>აღიარებული მოგებაში ან ზარალში</i>	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>აღიარებული მოგებაში ან ზარალში</i>	<i>31 დეკემბერი, 2020 წ.</i>
საგადასახადო ეფექტი გამოსაქვით დროებით სხვაობებზე					
სასესხო პორტფელი, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარდა	1,009	354	1,363	297	1,660
გადავადებული საგადასახადო აქტივები	1,009	354	1,363	297	1,660
დასაბეგრი დროებითი სხვაობების					
საგადასახადო ეფექტი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,451)	(229)	(1,680)	802	(878)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(1,680)	84	(1,596)	326	(1,270)
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(318)	(58)	(376)	(132)	(508)
გადასახდელი ხელფასები და სხვა ვალდებულებები	(97)	(10)	(107)	(34)	(141)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(3,546)	(213)	(3,759)	962	(2,797)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	(2,537)	141	(2,396)	1,259	(1,137)

14. სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
სხვა ფინანსური აქტივები		
ადგილობრივი ფულადი სახსრები ანგარიშსწორებისთვის	5,907	3,983
საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორებები	1,719	847
სიცოცხლის დაზღვევის დარიცხული პრემიები	1,212	1,011
თანამშრომლების მიმართ მოთხოვნები	92	122
სხვა	1,985	1,764
გამოკლებული – სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(1,390)	(1,235)
ფინანსური აქტივები, სულ	9,525	6,492

ბანკმა აღიარა სხვა საოპერაციო ხარჯებში წარმოდგენილი სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის დანარიცხი 155 ლარის ოდენობით (2019 წ.: 410 ლარი).

(ათას ლარში)

15. სხვა არაფინანსური აქტივები

სხვა არაფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
სხვა არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	5,433	4,701
დასაკუთრებული ქონება	2,180	1,208
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	817	656
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	675	660
არაფინანსური აქტივები, სულ	9,105	7,225

ბანკი ფლობს დასაკუთრებულ ქონებას, რომელიც წარმოადგენს უმოქმედო სესხების დაფარვის შედეგად ბანკის საკუთრებაში გადასულ მიწას და სხვა უძრავ ქონებას. ბანკი აპირებს ხსენებული აქტივების გაყიდვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2020 წელს ბანკმა დაისაკუთრა 962 ლარის ქონება (ძირითადად, უძრავი ქონებით წარმოდგენილი) გაცემული სესხების არაფულადი გზით დასაფარად (2019 წ.: 981 ლარი). ბანკმა აღიარა დასაკუთრებულ ქონებაზე დარიცხული წინა წლის რეზერვის კორექტირების შემობრუნების შედეგად მიღებული 230 ლარის წმინდა შემოსულობა მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019 წ.: 421-ის ზარალი) და ასახა სხვა საოპერაციო შემოსავალში (2019 წ.: სხვა საოპერაციო ხარჯებში).

16. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი

ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები მოიცავს შემდეგს:

	2020	2019
ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები	641,084	484,183
ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები	315,018	217,771
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	956,102	701,954
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	956,102	687,550
- სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით	-	14,404

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2021 წლის მარტიდან 2030 წლის დეკემბრამდეა და გამოხატულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2020 წლის თებერვლიდან 2026 წლის სექტემბრამდეა.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებდა ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებულ სესხებთან და სუბორდინირებულ სესხებთან დაკავშირებულ ყველა გარეშე ფინანსურ პირობას.

2020 წლის განმავლობაში, კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგებზე რეაგირების მიზნით, ბანკმა მოლაპარაკება აწარმოა კრედიტორებთან გარკვეული ფინანსური პირობების შემსუბუქებაზე, რომლებიც, მეტწილად, უკავშირდებოდა სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხს. ფინანსური პირობების გადასინჯვა, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს მოთხოვნილი კოეფიციენტების თანდათანობით შემობრუნებას პანდემიამდე დონეზე 2021-2022 წლების პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი დააკმაყოფილებს ფინანსურ პირობებს განჭვრეტად მომავალში ან შეძლებს შეღავათიანი ფინანსური პირობების მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნას ისე, რომ ეს დაემთხვეს საქართველოს ეკონომიკის აღდგენის დროს.

(ათას ლარში)

16. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი (გაგრძელება)

საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებულია შემდეგი სუბორდინირებული სესხები:

	<i>ვალუტა</i>	<i>საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვადა</i>	<i>2020</i>	<i>2019</i>
სესხი 1	ლარი	სამთვიან სადეპოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს + 9.02%	დეკემბერი, 2025 წ.	5,051	5,053
სესხი 2	ლარი	სამთვიან სადეპოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს + 7.72%	აპრილი, 2026 წ.	6,203	6,196
სესხი 3	ლარი	სამთვიან სადეპოზიტო სერტიფიკატის განაკვეთს + 7.55%	ივნისი, 2026 წ.	4,029	4,031
სესხი 4	ლარი	13.55%	სექტემბერი, 2026 წ.	3,362	3,387
სესხი 5	ლარი	13.55%	სექტემბერი, 2026 წ.	3,362	3,387
სესხი 6	ლარი	16.50%	აპრილი, 2027 წ.	6,953	-
სესხი 7	ლარი	16.50%	აპრილი, 2027 წ.	6,953	-
სუბორდინირებული სესხები				35,913	22,054

ყველა სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება დადგეს გარემოებები, რომლებიც მოითხოვს სუბორდინირებული ვალის ვადაზე ადრე დაფარვას, მაგალითად, სესხზე შენატანების გადაუხდელობა, ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ჯვარედინი დეფოლტი (რომლის დროსაც სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევა ავტომატურად განიხილება დეფოლტად) და გადახდისუუნარობა.

მე-4 და მე-5 სესხები, რომელთა დაფარვის ვადა 2026 წლის სექტემბერში იწურება, კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში, რაც უნდა დამტკიცდეს ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე, შეიძლება გარდაიქმნას ბანკის აქციებად სუბორდინირებული სესხის გაცემის თარიღის შემდეგ ბანკის სააქციო კაპიტალის გაზრდისას ან მის შემდგომ, ნებისმიერ დროს, იმ ფასად, რომელიც შეესაბამება აქციის ფასს სააქციო კაპიტალის გაზრდის მომენტში. სუბორდინირებული სესხის გაცემის თარიღის შემდეგ სააქციო კაპიტალის ზრდა არ მომხდარა. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა სუბორდინირებული ვალის ხელშეკრულებებში სესხის აქციებად გარდაქმნის პირობა ჩადებული არ არის.

მე-6 და მე-7 სესხები მიღებულია ბანკის არასაკონტროლო წილის მფლობელისგან (31-ე შენიშვნა).

17. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	<i>ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები</i>	<i>სუბორდინირებული სესხები</i>	<i>ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, სულ</i>
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	585,667	13,467	599,134
გაცემულ სესხებზე მიღებული შემოსავალი	439,192	16,536	455,728
გამოსყიდვა	(330,603)	(8,120)	(338,723)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	8,168	-	8,168
ცვლილება სამართლიან ღირებულებაში	267	-	267
სხვა	(737)	171	(566)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	701,954	22,054	724,008
გაცემულ სესხებზე მიღებული შემოსავალი	457,955	13,801	471,756
გამოსყიდვა	(237,900)	-	(237,900)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	30,808	-	30,808
ცვლილება სამართლიან ღირებულებაში	(92)	-	(92)
სხვა	3,377	58	3,435
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	956,102	35,913	992,015

(ათას ლარში)

17. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში (გაგრძელება)

მუხლი სახელწოდებით „სხვა“ შეიცავს სხვა ნასესხებ სახსრებზე და სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის ეფექტს. ბანკი გადახდის პროცენტს აღრიცხავს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად.

საიჯარო ვალდებულებებში შესული ცვლილებები წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

18. მომხმარებელთა ანგარიშები

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
ვადიანი ანაზრები	68,538	43,375
მიმდინარე ანგარიშები	62,000	39,001
შემნახველი ანგარიშები	20,259	11,434
ანგარიშები ანგარიშსწორების პროცესში	3,286	2,928
	154,083	96,738

19. სხვა ვალდებულებები

	<i>2020</i>	<i>2019</i>
დარიცხული ხელფასები	9,190	7,440
ვალდებულებები ლომბარდების წინაშე	6,064	1,459
საქონელსა და მომსახურებაში გადასახდელი თანხები	4,484	3,809
უზრუნველყოფა წარმოებულ ინსტრუმენტებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში (მე-7 შენიშვნა)	3,080	1,061
ფულადი სახსრები ანგარიშსწორების პროცესში	1,843	950
დარიცხული ხარჯები	1,220	863
საგრანტო ვალდებულებები	1,172	417
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	201	217
სხვა ვალდებულებები	650	6
	27,904	16,222

20. საკუთარი კაპიტალი

ბანკის აქციონერებმა სააქციო კაპიტალში შენატანი განახორციელეს ლარში და ისინი უფლებამოსილი არიან დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება მიიღონ ლარში.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად გადახდილი კაპიტალი 4,400 ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 10.00 ლარის ნომინალური ღირებულების 440,000 ჩვეულებრივი აქცისგან. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

დივიდენდები

გარკვეული შემთხვევებში დივიდენდების განაწილება შეიძლება დაეკავშირებოდეს მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან დამტკიცებას.

2020 წელს ბანკს დივიდენდები არ გამოუცხადებია. 2019 წლის ივლისში აქციონერთა საერთო კრებაზე ბანკმა გამოაცხადა 2018 წლის დივიდენდები 6,316 ლარის ოდენობით. 2019 წელს გამოცხადებული დივიდენდები სრულად გადაეხადათ აქციონერებს. ერთ აქციაზე დივიდენდმა 2019 წელს 0.014 ლარი შეადგინა.

(ათას ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ბანკი იღებს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებს, რაც მოიცავს სესხების გაცემის ვალდებულებებს.

ბანკს აქვს მიმდინარე საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება სესხების გაცემას. ეს საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები იღებს დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტებისა და სასესხო დავალიანების სახეს. ხსენებულ საკრედიტო ბარათებს ფიქსირებული ლიმიტები და, როგორც წესი, რვა თვემდე ვადა აქვს.

ბანკი საკრედიტო ვალდებულებების აღებისას საკრედიტო რისკის მართვის იმავე პოლიტიკასა და პროცედურებს იყენებს, როგორც – მომხმარებლებზე სესხების გაცემისას. მომხმარებლებს, რომლებსაც სესხებზე ოთხ დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვთ, ვეღარ გამოაქვთ ლიმიტის დარჩენილი ნაწილი.

შესაბამისი ამოუღებელი ნაშთებია:

	2020	2019
აუთვისებელი ლიმიტი საკრედიტო ბარათებზე	27,343	43,883
სხვა სასესხო ვალდებულებები	5,085	5,345
	32,428	49,228

ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთლიანი მიმდინარე საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები შესაძლოა არ წარმოადგენდეს სამომავლო მოთხოვნებს ნაღდ ფულზე, რადგან ამ საკრედიტო ვალდებულებებს შეიძლება ვადა ამოეწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე. ბანკს აქვს უპირობო უფლება გააუქმოს გამოუყენებელი საბარათე ნაშთები.

საოპერაციო გარემო

კოვიდ-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პირველადი შეფასებით, საქართველოს მშპ მუდმივ ფასებში 2020 წელს 5.9%-ით შემცირდა, უმუშევრობის დონემ მიაღწია 18.5%-ს, ლარი აშშ დოლართან მიმართებით 14%-ით გაუფასურდა 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 12%-ს გაუტოლდა. სეზონის მიხედვით, ინფლაციის დონე 2020 წლის განმავლობაში დაახლოებით 5.2% დარჩა, რაც მოსალოდნელი იყო შემცირებული შიდა მოთხოვნისა და პანდემიის ფონზე მთავრობის მიერ მოსახლეობისთვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გათვალისწინებით. წლის ბოლოს მდგომარეობით, სეზონის მიხედვით, რომ განჭვრეტად მომავალში დარჩება რეფინანსირების დღევანდელ, 8%-იანი განაკვეთის დონეზე და მისი მიზანი კვლავაც იქნება ინფლაციის 3%-იანი მაჩვენებელი. მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც მოიცავს მოსახლეობის დაუცველი ჯგუფებისა და მეწარმეების ფინანსურ მხარდაჭერას, ქონების და სამემოსავლო გადასახადის გადავადებას ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესსუბიექტებისთვის, კომერციული ბანკებისგან აღებული სესხების რესტრუქტურის შესაძლებლობას მსესხებლებისთვის და ა. შ. საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა 3 მილიარდი აშშ დოლარი გამოჰყვეს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისთვის.

საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და კოვიდ-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ბანკს შედარებით მძლავრი პოზიცია ჰქონდა, შემდეგი ფაქტორების წყალობით: ბანკის პორტფელი, ძირითადად, ლარშია გამოხატული, რაც ამცირებს ვალუტის გაუფასურების გავლენას; ბანკის პორტფელი დანაწევრებულია და კონცენტრირებულია სასოფლო რეგიონებზე, ხოლო სოფლის მეურნეობას ნაკლებად შეეხება კრიზისი; მცირედით არის დამოკიდებული ანაზრებზე, რაც ამცირებს ანაზრების გატანის რისკს, ხოლო კრედიტორებთან კარგი ურთიერთობა მას ეხმარება ლიკვიდურობის შენარჩუნებაში.

ეკონომიკურმა დადმავლობამ, რასაც მოჰყვა საკრედიტო რისკის ზრდა, განსაკუთრებით დაზარალებულ სექტორში მოქმედი მსესხებლებისთვის, გამოიწვია ბანკის გაუფასურების რეზერვის ხარჯის ზრდა, რაც აღწერილია ამ ფინანსური ანგარიშგების მე-7 და მე-18 განმარტებით შენიშვნებში.

გაუფასურების ზარალის ზრდის მიუხედავად, ბანკი ინარჩუნებს კაპიტალის მძლავრ ბუფერებს, ლიკვიდურობის ძლიერ პოზიციას და უმოქმედო სესხების ჯანსაღ დონეებს, რაც კონსერვატიული დაკრედიტებისა და დროული რესტრუქტურის დახმარებით. ვინაიდან კოვიდ-19-ის პანდემია გრძელდება და მისი ხანგრძლივობა და ახლო მომავალში ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობა გაურკვეველია, ბანკის ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციაზე დაკვირვებას, რათა დროულად შეაფასოს და რეაგირება მოახდინოს შესაბამისი გამოწვევებისა და რისკების მიხედვით.

(ათას ლარში)

21. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იურიდიული საკითხები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიძვრას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში გაცილებით მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ბანკის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ ბანკის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

დაზღვევა

ბანკს აქვს BBB დაზღვევა კიბერთალითობისგან დასაცავად, ასევე დაზღვეული აქვს ნაღდი ფული და სრულად აქვს დაზღვეული თავისი შენობები და აღჭურვილობა. ბანკს ასევე აქვს მესამე მხარეთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა და დირექტორებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის დაზღვევა.

22. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

საკომისიო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	2020	2019
კრედიტთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებული გასამრჯელო	21,711	19,383
საკომისიო კლიენტის ანგარიშებიდან	2,024	-
ანგარიშსწორებიდან და ნაღდი ფულით ოპერაციებიდან მიღებული გასამრჯელო	1,458	2,138
სხვა	1,417	942
	26,610	22,463

ბანკის შემოსავალს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ძირითადად წარმოადგენს გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ბანკმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარა შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2020	2019
დარიცხული მისაღები შემოსავალი (წარმოდგენილი სხვა ფინანსურ აქტივებში)	1,212	1,013

იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება უნდა შესრულდეს დროის გარკვეულ მომენტში, მომსახურების გასამრჯელო, როგორც წესი, მიიღება შესაბამისი ოპერაციის განხორციელებამდე ან განხორციელებისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება რაღაც დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს, მომსახურების გასამრჯელო მიიღება რეგულარულად (როგორც წესი, ყოველთვიურად).

(ათას ლარში)

23. საკომისიო ხარჯი

საკომისიო ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
კრედიტთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებული გასამრჯელო ანგარიშსწორებიდან და ნაღდი ფულით ოპერაციებიდან მიღებული გასამრჯელო	4,807	3,835
სხვა	1,817	1,169
	71	81
	6,695	5,085

24. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან

წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან შედგება შემდეგისგან:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
გარიგებები	2,186	2,051
საკურსო სხვაობები	(8,001)	(824)
წმინდა შედეგი უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	3,121	830
	(2,694)	2,057

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წმინდა შედეგი 3,060 ლარის პროცენტის ელემენტის ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება სეზ-ის სვოპ პროგრამას კოვიდ-19-თან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია ფორვარდული პუნქტების (სხვაობა სახელმწიფო ფორვარდულ და სვოპ კურსებს შორის) (2019 წ.: ნული) და უცხოურ ვალუტაში წარმოებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე 1,008 ლარის მსგავსი პროცენტის ელემენტის ხარჯის ამორტიზაციით (2019 წ.: 975 ლარი).

25. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
შემოსულობა ძირითადი საშუალებებისა და დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	11	68
დასაკუთრებულ ქონებაზე შექმნილი რეზერვის შემობრუნება (მე-15 შენიშვნა)	230	-
მიღებული გრანტები	209	476
სხვა	13	47
	463	591

26. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
ძირითადი საშუალებებისა და დასაკუთრებული ქონების გასხვისების ხარჯები	11	-
სასამართლო ხარჯებისთვის შექმნილი ანარიცხები	155	410
დასაკუთრებული ქონებისთვის შექმნილი ანარიცხები (მე-15 შენიშვნა)	-	421
სხვა საოპერაციო ხარჯი	118	120
	284	951

(ათას ლარში)

27. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
სახელფასო ხარჯები	54,726	50,865
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯი	8,235	8,386
	62,961	59,251

თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯები მოიცავს სოფლების საბჭოებისთვის ხელფასებს, ჯანმრთელობისა და საპენსიო დაზღვევას და თანამშრომელთა სხვა გასამრჯელოებს.

ბანკის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2020 წლისა და 2019 წლის განმავლობაში იყო:

<i>კატეგორია</i>	<i>2020</i>	<i>2019</i>
დირექტორები	4	3
ხელმძღვანელობა	131	124
პროფესიონალთა გუნდი	2,386	2,183
სულ	2,521	2,310

ზემოაღნიშნულის გარდა, 2020 წელს, საშუალოდ, 2,543 თანამშრომელი იყო დასაქმებული დროებითი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე (2019 წ.: 2,370).

28. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	<i>2020</i>	<i>2019</i>
ტრანსპორტირებისა და სამივლინებო ხარჯები	3,824	4,937
ინვენტარი და სხვა მოხმარების საგნები	2,630	1,774
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	2,352	2,354
კომუნიკაციის ხარჯები	2,073	1,781
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	1,836	1,268
საოპერაციო გადასახადები	1,413	421
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	1,342	1,698
იჯარა და კომუნალური ხარჯები	1,275	2,143
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	868	769
სადაზღვევო ხარჯები	567	430
ტრენინგი	469	399
დაცვა-უსაფრთხოების მომსახურების ხარჯები	245	209
სხვა	1,750	1,030
	20,644	19,213

აუდიტორის საზღაური

სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებასაც. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ბანკის აუდიტორის ანაზღაურება შეადგენს შემდეგს:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
გასამრჯელო ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	189	162
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	4	12
	194	174

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეული პროფესიული მომსახურების გასამრჯელო და ასანაზღაურებელი ხარჯები შეადგენდა 334 ლარს (2019 წ.: 408 ლარი).

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორც არის ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო, ფინანსური და საოპერაციო რისკები.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო, თავის კომიტეტებთან ერთად, ზოგადად პასუხისმგებელია რისკის მართვის სისტემის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის გაკონტროლებაზე და თავისი რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვაზე.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირების ზომების განხორციელებასა და მონიტორინგზე. იგი ასევე უზრუნველყოფს ბანკის მოქმედებას დადგენილი რისკის პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია პირდაპირ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

აქტივ-პასივების კომიტეტი (ალკო)

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც შედგება ხელმძღვანელობის ზედა რგოლის წევრებისგან და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე რისკის პოლიტიკისა და ლიმიტების განსაზღვრაზე. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკა მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის შეხვედრები რეგულარულად ტარდება. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის შეხვედრებზე განიხილება მგრძობელობა ფინანსური რისკების მიმართ და მიიღება რისკის შემცირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. ამასთან, ხდება ნებისმიერ ახალ პროდუქტთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური ფინანსური რისკის ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება ამ რისკების შეფასებასთან, შეზღუდვასა და მართვასთან დაკავშირებით.

შიდა აუდიტი

რისკების მართვის პროცესებს ბანკში ამოწმებს შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი თავის შედეგებსა და რეკომენდაციებს პირდაპირ აუდიტის კომიტეტს წარუდგენს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი განიცდის ზარალს, თუ მისი მომხმარებლები, კლიენტები ან კონტრაჰენტები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს თავისი მომხმარებლებისთვის, კლიენტებისთვის და კონტრაჰენტებისთვის ფინანსური, ბიზნესის და რეპუტაციის კრიტერიუმების დადგენით და მათი ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის (due diligence) ჩატარებით, რისკის მოცულობაზე მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაჰენტისთვის, ასევე გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციებისთვის და რისკების ზემოაღნიშნულ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

საკრედიტო რისკზე მონიტორინგს ახორციელებს საკრედიტო დეპარტამენტი. არსებობს დამტკიცების რამდენიმე დონე სესხის ოდენობის მიხედვით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

სესხის გაცემაზე გადაწყვეტილებას ამტკიცებს ბანკის შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტი, სესხის ოდენობისა და ტიპის შესაბამისად. ბანკში არსებობს რამდენიმე დონის საკრედიტო კომიტეტები, დაწყებული სერვისცენტრის საკრედიტო კომიტეტით და დასრულებული სათავო ოფისის საკრედიტო კომიტეტით.

საკრედიტო კომიტეტისთვის წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და სისწორე არის იმ საკრედიტო ოფიცრის პასუხისმგებლობა, რომელიც ავსებს პირველად განაცხადს განმცხადებლის ბიზნესისა და მისი საკრედიტო რისკების საფუძვლიანი შემოწმების საფუძველზე შეფასების მოდელისა და განაცხადის მონაცემების გადამოწმების პროცედურების მეშვეობით. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები აფასებენ, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი დადგენილ კრიტერიუმებს (განმცხადებლის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა, კონკურენტუნარიანობა და სხვა).

განმცხადებლის კრედიტუნარიანობის შეფასება მისი ბიზნესის მონიტორინგის მეშვეობით საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის რისკი. მონიტორინგი ხდება საკრედიტო ოფიცრების მიერ, რომლებიც შედეგებს ხელმძღვანელობას აცნობებენ.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ნაწილობრივ ხორციელდება უზრუნველყოფის საგნისა და პირადი თავდებობების მიღებით.

გაუფასურების შეფასება

ბანკი გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა	<i>დეფოლტის ალბათობა</i> არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება	<i>დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება</i> არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა), სესხის გაცემის ვალდებულებების ფარგლებში კრედიტების მოსალოდნელ ათვისებას და გადაუხდელო შენატანებზე დარიცხულ პროცენტს.
დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში	<i>დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში</i> არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელო სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. შემოადინებულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შექმნის ან შექმნის გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

- 1-ლი სტადია: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადია მოიცავს 0-30 დღით ვადაგადაცილებულ სესხებს. იგი ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი გაუმჯობესებულია და მიახლოებულია სესხის გაცემის მომენტისთვის არსებულს და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
- მე-2 სტადია: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადია მოიცავს 31-90 დღით ვადაგადაცილებულ სესხებს და რესტრუქტურირებულ სესხებს, რომლებიც 90-ზე ნაკლები დღითაა ვადაგადაცილებული (R1). მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი იმდენად შემცირდა, რომ სესხი აღარ ითვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
- მე-3 სტადია: სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. მესამე სტადია მოიცავს 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ სესხებს და 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ რესტრუქტურირებულ სესხებს (R2). ბანკის ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
- შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული: შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

დეფოლტის განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დაავიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. გარდა ამისა, ბანკი განიხილავს დეფოლტზე მიმანიშნებელ შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ დაწყებულია მსესხებლის გაკოტრების საქმის წარმოება;
- ▶ ბანკმა დაიწყო სასამართლო დავა მსესხებლის წინააღმდეგ;
- ▶ პირობების დარღვევა, თუ ბანკმა არ გადაწყვიტა რომელიმე პირობის დათმობა ან შეცვლა;
- ▶ ნებისმიერი კონკრეტული ინფორმაცია კლიენტის ბიზნესის შესახებ ან კლიენტის საბაზრო გარემოში ცვლილების თაობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს მომავალ ფულად ნაკადებზე.

ბანკი ბანკების მიმართ არსებულ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება საქმიანობის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

*(ათას ლარში)***29. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)***დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი*

დეფოლტის ალბათობის შეფასება გულისხმობს გარკვეული თარიღისთვის გაკეთებულ პროგნოზებს, რომლებიც მიიღება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. დეფოლტის ალბათობის გამოანგარიშების მიზნებისთვის სესხის პორტფელი იყოფა (თითოეული განცალკევებული პროდუქტის სეგმენტის მიხედვით) ვადაგადაცილების პერიოდებად:

- ▶ 1-ლი სტადია – ვადაგადაუცილებელი სესხები;
- ▶ 1-ლი სტადია – 0-30 დღით ვადაგადაცილებული სესხები;
- ▶ მე-2 სტადია – 31-60 დღით ვადაგადაცილებული სესხები;
- ▶ მე-2 სტადია – 61-90 დღით ვადაგადაცილებული სესხები;
- ▶ მე-2 სტადია – 90 დღეზე ნაკლები ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურიზებული სესხები (R1);
- ▶ მე-3 სტადია – 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული; გადაუხდელი სესხები;
- ▶ მე-3 სტადია – 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურიზებული სესხები (R2).

თუ კონტრაქტი ან კრედიტი გადაინაცვლებს ვადის ერთი კატეგორიიდან მეორეში, ეს გამოიწვევს შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ცვლილებას. დეფოლტის ალბათობა გამოითვლება ოთხი წლის საშუალოს გამოყვანით და შემდეგ ხდება დეფოლტის ალბათობის მიგრაციის პროცენტული მატრიცების გასაშუალოება გასაანალიზებელი პერიოდისთვის.

საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა

კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს იმის შეფასებისას, ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და აგრეთვე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას.

კომპანიას გამოვლენილი და დოკუმენტირებული აქვს საკრედიტო რისკის და პორტფელზე საკრედიტო დანაკარგების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეფასებული აქვს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობაზე და დავალიანების ამოღების მაჩვენებელზე. ანალიზში გამოყენებულია შემდეგი მაკროეკონომიკური ცვლადები:

- ▶ საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი;
- ▶ ინფლაციის ტემპი;
- ▶ სავალუტო კურსები.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ძირითადი მაჩვენებლების პროგნოზირებული ურთიერთდამოკიდებულება და ფინანსური აქტივების სხვადასხვა პორტფელის დეფოლტს და ზარალის დონეები მიიღება ბოლო ორი წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე (2019 წელს ბოლო ოთხი წლის ისტორიული მონაცემები გამოიყენებოდა). გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულარულად გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები. ამ ანალიზის საფუძველზე კომპანიამ გამოავლინა პორტფელის დეფოლტის კორელაცია საქართველოს მშპ-ის რეალურ ზრდის ტემპთან, ნომინალური ეფექტური სავალუტო კურსის ინდექსებთან (თვიური) და ლარი/აშშ დოლარის გაცვლით კურსთან (2019 წელს მხოლოდ მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი იქნა გამოყენებული).

<i>მნიშვნელოვანი დრავერები</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>	<i>2022</i>
მშპ-ის ზრდა, %			
ოპტიმისტური (25%-იანი წონა)	(4.5)%	6.0%	5.0%
საბაზო სცენარი (50%-იანი წონა)	(5.0)%	5.0%	4.5%
პესიმისტური (25%-იანი წონა)	(6.0)%	1.0%	4.0%
ნომინალური ეფექტური სავალუტო კურსის ინდექსები			
ოპტიმისტური (25%-იანი წონა)	უცვლელი	გამყარება 3%-ით	გამყარება 3%-ით
საბაზო სცენარი (50%-იანი წონა)	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
პესიმისტური (25%-იანი წონა)	გაუფასურება 3%-ით	გაუფასურება 10%-ით	გამყარება 3%-ით
ლარი/აშშ დოლარის სავალუტო კურსი			
ოპტიმისტური (25%-იანი წონა)	უცვლელი	გამყარება 5%-ით	გამყარება 5%-ით
საბაზო სცენარი (50%-იანი წონა)	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
პესიმისტური (25%-იანი წონა)	გაუფასურება 5%-ით	გაუფასურება 10%-ით	გამყარება 5%-ით

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც კლიენტის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში – 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს მაჩვენებლები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას და მას ადარებს იმ თანხას, რომლის ამოღებაც მოსალოდნელია.

ბანკი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს ყოფს უფრო მომცრო, ერთგვაროვან პორტფელებად იმ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც აქტუალურია სამომავლო ფულადი ნაკადების შესაფასებლად. გამოყენებული მონაცემები მოიცავს წარსულში განცილები ზარალის მონაცემებს და გარიგების უფრო მეტ მახასიათებელს (მაგ. პროდუქტის ტიპი, ვადა), ასევე მსესხებლის მახასიათებლებს.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ოთხი წლის განმავლობაში დეფოლტების და შესაბამისი დავალიანებების ამოღების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით. დავალიანების ამოღების ისტორიული პროცენტული მაჩვენებლები წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

იმის შესაფასებლად, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად ხომ არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსურ ინსტრუმენტზე მისი დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს ადარებს დეფოლტის დადგომის რისკს, რომელიც მოსალოდნელი იყო დარჩენილი ვადის განმავლობაში არსებული საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას. ამ შეფასებისას ბანკი მხედველობაში იღებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომელიც არის გონივრული და დასაბუთებადი, წარსულში მიღებული გამოცდილებისა და საპროგნოზო ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯისა და ძალისხმევის გარეშე, და ეყრდნობა ბანკის გამოცდილებას, ექსპერტების საკრედიტო შეფასებებს, პროგნოზების ჩათვლით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. კოვიდ-19-ის პანდემიის ფონზე, ბანკმა გამოავლინა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ეკონომიკის პანდემიით ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებთან მიმართებით.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<i>კლიენტებზე გაცემული სესხები</i>	<i>მთლიანი საერთო საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2020 წ.</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>შემთხვევითი ან შექმნილი გაუფასურებული</i>
ვადაგადაცილებული	956,089	946,529	9,560	-	-
1-30 ვადაგადაცილებული დღე	3,375	3,359	16	-	-
31-60 ვადაგადაცილებული დღე	2,829	-	2,829	-	-
61-90 ვადაგადაცილებული დღე	2,651	-	2,651	-	-
90 დღეზე ნაკლები ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურირებული სესხები (R1)	96,816	-	92,363	4,450	3
90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხები; გადაუხდელი სესხები	7,155	-	-	7,155	-
90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურირებული სესხები (R2)	683	-	-	683	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ	1,069,598	949,888	107,419	12,288	3

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ზემოთ, მეორე სტადიაზე წარმოდგენილი, მომხმარებლებზე გაცემული ვადაგადაუცილებელი სესხები არის ის სესხები, რომლებიც მოდიფიცირებულია მთავრობის კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მორატორიუმების შესაბამისად და რომელთა მსესხებლების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ისეთი დაზარალებული სფეროები, როგორცაა ტურიზმი, რესტორნისა და სასტუმროს ბიზნესი. ბანკმა გადაწყვიტა, რომ ამ სესხების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარა მათ მთლიანი ვადაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<i>კლიენტებზე გაცემული სესხები</i>	<i>მთლიანი საერთო საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი,</i>			
	<i>2019 წ.</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მესამე ეტაპი</i>
ვადაგადაუცილებელი	819,320	819,320	-	-
1-30 ვადაგადაცილებული დღე	1,585	1,585	-	-
31-60 ვადაგადაცილებული დღე	1,121	-	1,121	-
61-90 ვადაგადაცილებული დღე	1,110	-	1,110	-
90 დღეზე ნაკლები ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურირებული სესხები (R1)	19,049	-	19,049	-
90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხები; გადაუხდელი სესხები	2,302	-	-	2,302
90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული რესტრუქტურირებული სესხები (R2)	1,449	-	-	1,449
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ	845,936	820,905	21,280	3,751

ფინანსური რისკი

ბანკს აქვს სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკები: ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო რისკი, მათ შორის სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

აღნიშნული რისკები კონტროლდება და იმართება უწყვეტ რეჟიმში.

ფინანსური რისკები ფასდება და კონტროლდება ფინანსური რისკის მართვის განყოფილების მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია რისკებზე გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ ორგანოსთან – აქტივ-პასივების მართვის კომიტეტთან.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ნორმალურ და სტრესულ გარემოებებში ბანკი ვერ შეძლებს ვალდებულებების გადახდას შესაბამის ვადებში. აღნიშნული რისკის შეზღუდვის მიზნით ხელმძღვანელობამ მოახდინა დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან დაფინანსებას საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან და სესხებს ადგილობრივი ბანკებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ თანხების დროულად მიწოდებას მოთხოვნის შემთხვევაში. ოვერდრაფტები ადგილობრივი ბანკებიდან ასევე ხელმისაწვდომია გადაუდებელი ლიკვიდურობის საჭიროებების შემთხვევაში.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის მართვა აქტივებისა და ვალდებულებების მართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინება და გადინება ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. მოკლევადიანი ლიკვიდურობის გეგმა მუშავდება ყოველი თვის დასაწყისში. გეგმა მოიცავს ლიკვიდურობის ყოველკვირეულ დაგეგმვას მომდევნო ერთი თვის პერიოდისთვის და დეტალურ გეგმას შემდეგი ორი თვის პერიოდისთვის, ასევე პროგნოზებს მომდევნო თორმეტი თვისთვის, რომელთა მომზადებაც ყოველთვიურად ხდება.

გადაწყვეტილებები დაფინანსების შესახებ მიიღება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც იმართება სულ მცირე ყოველთვიურად ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში.

მდგომარეობის შეფასება ლიკვიდურობის თვალსაზრისით ხდება ყოველთვიურად ლიკვიდურობის მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკაში.

ამასთან, ბანკის სახაზინო დეპარტამენტი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს ლიკვიდურობის მდგომარეობაზე და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ლიკვიდურობის მდგომარეობა შენარჩუნდეს შიდა ლიმიტების შესაბამისად, რომლებიც ემყარება ისტორიულ მონაცემებს და ითვალისწინებს შესაბამის შიდა და გარე ფაქტორებს, როგორც არის დაფინანსების ღირებულება და თანხების გაცემის სეზონურობა. ამგვარად, საჭიროების შემთხვევაში ხაზინას შეუძლია ეფექტურად გამოიყოს თანხები ფილიალებისთვის და სხვადასხვა საოპერაციო საჭიროებებისთვის.

ჭარბი ნაღდი ფულის თავიდან აცილების მიზნით, ხელმძღვანელობა ადგენს ნაღდი ფულის მაქსიმალურ დონეებს. დაშვებულ ზღვარს ზემოთ თანხები განთავსდება ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ადგილობრივ ბანკებში. ადგილობრივი ბანკებისთვის რისკის მაქსიმალურ მოცულობას განსაზღვრავს და წამოაყენებს დირექტორთა საბჭო და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

ლიკვიდურობის პოზიციას ბანკი აფასებს და მართავს სეზ-ის მიერ დადგენილი გარკვეული ლიკვიდურობის კოეფიციენტის საფუძველზე. ამ მოთხოვნის თანახმად, ბანკებმა უნდა იქონიონ ლიკვიდური აქტივები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ თავიანთი ლიკვიდურობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მომდევნო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 202 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კოეფიციენტები ასე გამოიყურებოდა:

	2020	2019
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	817%	860%
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ეროვნულ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	454%	268%
სულ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	591%	462%

ბანკები ვალდებულები არიან, რომ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეინარჩუნონ მინიმუმ 100%-ის, 75%-ისა და 100%-ის დონეზე უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში, და ჯამში, შესაბამისად.

კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით სეზ-ის ლიკვიდურობის მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში, ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის ეროვნული ვალუტის კომპონენტი გაუქმდა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის 2020 წლის 1 მაისიდან ერთი კალენდარული წლის ვადით ან სხვა ვადით, რომელსაც სექტორის ლიკვიდურობის საჭიროებების შეფასების შედეგად მართებულად მიიჩნეეს მარეგულირებელი ორგანო.

2019 წლის 1 სექტემბრიდან სეზ-მა დამატებით შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის, რომელიც უნდა იყოს, სულ მცირე, 100%. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 126% იყო (2019 წ.: 118%).

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი შემოდინებების და ვალდებულებების მიხედვით:

	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი ვადით</i>	<i>სულ მთლიანი შემოდინება/ გადინება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	165,631	-	-	165,631
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	50,351	-	50,351
ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	-	-	2,935	2,935
ბრუტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	63,501	1,647	-	65,148
კლიენტებზე გაცემული სესხები	65,288	592,367	705,316	1,362,971
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	252	3,520	55,551	59,323
სხვა ფინანსური აქტივები	7,759	1,789	2,374	11,922
ფინანსური აქტივები, სულ	302,431	649,674	766,176	1,718,281
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	10,307	440,528	680,525	1,131,360
ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	83	891	648	1,622
ბრუტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	64,739	1,666	-	66,405
მომხმარებელთა ანგარიშები	92,963	58,725	5,340	157,028
სხვა კრედიტორული დავალიანება	18,876	3,924	3,152	25,952
საიჯარო ვალდებულებები	563	5,827	6,012	12,402
სუბორდინირებული ვალი	462	5,147	59,692	65,301
სულ ფინანსური ვალდებულებები	187,993	516,708	755,369	1,460,070
ვადიანობის გეპი	114,438	132,966	10,807	258,211

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული ვალდებულებების მიხედვით:

	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი ვადით</i>	<i>სულ მთლიანი შემოდინება/ გადინება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	76,941	–	–	76,941
ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	–	23,811	–	23,811
ბრუტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	8,800	7,169	–	15,969
კლიენტებზე გაცემული სესხები	54,770	489,518	507,827	1,052,115
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	2,549	37,270	39,819
სხვა ფინანსური აქტივები	4,857	1,175	460	6,492
ფინანსური აქტივები, სულ	145,368	524,222	546,368	1,215,958
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	1,337	249,046	595,434	845,817
ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	83	894	1,622	2,599
ბრუტო საფუძველზე ანგარიშსწორებული წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები	8,406	7,956	–	16,362
მომხმარებელთა ანგარიშები	56,211	34,301	8,584	99,096
სხვა კრედიტორული დავალიანება	11,716	7,364	1,061	20,141
საიჯარო ვალდებულებები	479	5,235	9,416	15,130
სუბორდინირებული ვალი	–	2,937	38,401	41,338
სულ ფინანსური ვალდებულებები	78,232	307,733	654,518	1,040,483
ვადიანობის გეპი	67,136	216,489	(108,150)	175,475

სავალუტო რისკი

სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების თანხვედრა ბანკის წმინდა ღია სავალუტო პოზიციის მონიტორინგის უმთავრესი მეთოდია. ქვედა ცხრილში რაოდენობრივად არის გამოხატული ბანკის წმინდა ღია სავალუტო პოზიცია, როგორც რისკის მართვის მიზნით უცხოურ ვალუტაში ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტით შემცირებული სხვაობა სავალუტო აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. სხვაობა (გეპი) ნებისმიერ ვალუტაში, გარდა ადგილობრივი ვალუტისა, წარმოადგენს პოტენციურ რისკს. უარყოფითი სავალუტო გეპი წარმოადგენს რისკს უცხოური ვალუტის გამყარებასთან, ხოლო დადებითი გეპი წარმოადგენს რისკს უცხოური ვალუტის გაუფასურებასთან მიმართებით. დირექტორთა საბჭო აწესებს სავალუტო პოზიციების რისკს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებით:

	2020			2019		
	აშშ დოლარი	ევრო	სხვა უცხოური ვალუტა	აშშ დოლარი	ევრო	სხვა უცხოური ვალუტა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49,176	29,786	1,746	30,017	13,253	2,439
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	41,315	9,036	-	22,049	1,762	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	37,217	61,177	-	39,119	43,174	-
სხვა ფულადი აქტივები	834	604	197	915	296	162
სულ აქტივები	128,542	100,603	1,943	92,100	58,485	2,601
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(165,776)	(99,536)	-	(97,329)	(54,799)	-
მომხმარებელთა ანგარიშები	(36,779)	(6,485)	(271)	(20,845)	(4,778)	(127)
საიჯარო ვალდებულებები	(4,892)	-	-	(5,974)	-	-
სხვა ფულადი ვალდებულებები	(3,782)	(36)	(6)	(1,895)	(54)	(10)
სულ ვალდებულებები	(211,229)	(106,057)	(277)	(126,043)	(59,631)	(137)
რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	81,522	-	(1,641)	30,111	-	(1,500)
წმინდა პოზიცია რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გათვალისწინებით	(1,165)	(5,454)	25	(3,832)	(1,146)	964

სავალუტო კურსის მგრძობელობის ანალიზი

ლარის გაუფასურება, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, უცხოური ვალუტის მიმართ 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შემცირებდა) კაპიტალსა და მოგებას ან ზარალს ქვემოთ მოცემული ოდენობებით. ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ბანკის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2020	2019
უცხოური ვალუტის 20%-ით გამყარება ლარის მიმართ	(1,319)	(803)
უცხოური ვალუტის 20%-ით გაუფასურება ლარის მიმართ	1,319	803

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს სამომავლო ფულად ნაკადებზე. საბანკო სესხები კლიენტებზე გაიცემა ფიქსირებული განაკვეთებით, ხოლო სესხების ნაწილს ცვალებადი პროცენტი ერიცხება. სესხის განაკვეთის ცვლილება შესაძლებელია სესხის განახლების შემთხვევაში. შესაბამისად, ბანკის მიზანია მოიპოვოს დაფინანსება სასურველი ფიქსირებული განაკვეთით, რათა შეამციროს ფასის გადახედვის რისკი დამფინანსებლის მხრიდან. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის გეგმს პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, ასევე ახორციელებს მონიტორინგს მარჯაზე სასესხო პორტფელის ფაქტობრივ საპროცენტო განაკვეთსა და დაფინანსების შეწონილ ღირებულებას შორის. ბანკი მუდმივად მუშაობს კონკურენტუნარიანი გარემოს შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის დაწესებაზე და დაფინანსების პირობების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს ინვესტორებთან.

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდევი ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს:

<i>ვალუტა</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2020</i>	<i>წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა 2019</i>
ლარი	5,063/(5,063)	3,729/(3,729)
აშშ დოლარი	744/(744)	201/(201)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის რისკის მქონე აქტივები და ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი ვადით</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	165,631	-	-	165,631
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	50,351	-	50,351
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	53,827	627,616	354,983	1,036,426
	711	693	42,108	43,512
მთლიანი პროცენტოვანი აქტივები	220,169	678,660	397,091	1,295,920
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	168,228	605,734	218,053	992,015
მომხმარებელთა ანგარიშები	94,707	54,768	4,608	154,083
საიჯარო ვალდებულებები	478	5,131	5,516	11,125
მთლიანი პროცენტოვანი ვალდებულებები	263,413	665,633	228,177	1,157,223
საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის გეპი	(43,244)	13,027	168,914	138,697

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთის რისკის მქონე აქტივები და ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი ვადით</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	76,941	-	-	76,941
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	23,811	-	23,811
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	41,867	533,627	259,006	834,500
	154	-	28,897	29,051
მთლიანი პროცენტოვანი აქტივები	118,962	557,438	287,903	964,303
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	13,812	575,148	135,048	724,008
მომხმარებელთა ანგარიშები	57,304	31,702	7,732	96,738
საიჯარო ვალდებულებები	380	4,337	8,509	13,226
მთლიანი პროცენტოვანი ვალდებულებები	71,496	611,187	151,289	833,972
საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის გეპი	47,466	(53,749)	136,614	130,331

(ათას ლარში)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთების აცდენების (გეპის) ანალიზის საფუძველზე საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად დამატებით ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობელობის მონიტორინგი. წმინდა მოგების ან ზარალის განაკვეთების მერყეობის მიმართ მგრძობელობის (გადაფასების რისკი) ანალიზი, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული პროცენტიანი აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლიანობის მრუდისა და პოზიციების 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარზე დაყრდნობით, ასეთია:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
	<i>მოგება (ზარალი)</i>	<i>მოგება (ზარალი)</i>
პარალელური კლება 100 საბაზისო პუნქტით	302	63
პარალელური მატება 100 საბაზისო პუნქტით	(302)	(63)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. დანერგილია კონტროლის მექანიზმები, რომ უზრუნველყოს მოვალეობების ეფექტურად გადანაწილება, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესები, შიდა აუდიტის გამოყენების ჩათვლით. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობასთან შესაბამისობას აკონტროლებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური განყოფილება.

საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მონიტორინგს ახორციელებს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის განყოფილება.

ბანკს აქვს საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი, რომელიც იკრიბება მინიმუმ კვარტალურად და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. საოპერაციო რისკის განყოფილება ანგარიშვალდებულია საოპერაციო რისკის კომიტეტის წინაშე და მუშაობს საოპერაციო რისკის მიმდებლობასა და რისკების ძირითად მაჩვენებლებზე, საოპერაციო რისკის ტიპების კლასიფიკაციაზე, ბიზნესპროცესის განსაზღვრასა და დაგეგმვაზე, საოპერაციო რისკის შეფასების ხერხებსა და მეთოდებზე, ასევე საოპერაციო რისკის მონიტორინგზე, ანგარიშგებასა და შემცირებაზე ბანკის მასშტაბით.

30. სამართლიანი ღირებულებების შეფასება

სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ზაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

ბანკის ფინანსური განყოფილება განსაზღვრავს კომპანიის აქტივების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, სამართლიანი ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ ინსტრუმენტებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და დისკონტირების განაკვეთებს საანგარიშგებო თარიღისთვის.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია შეფასების იმ მეთოდებით, რომლებიც იყენებენ მნიშვნელოვან არასაბაზრო დაკვირვებად მონაცემებს.

(ათას ლარში)

30. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ქვედა ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება				
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დონე 1)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (დონე 2)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
წარმოებული ფინანსური აქტივები					
სავალუტო სვოპები	–	2,944	–	2,944	2,944
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	165,631	–	165,631	165,631
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	50,351	–	50,351	50,351
კლიენტებზე გაცემული სესხები	–	–	894,339	894,339	1,036,426
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	43,512	–	43,512	43,512
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავალუტო სვოპები	–	422	–	422	422
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	–	972,416	–	972,416	992,015
მომხმარებელთა ანგარიშები	–	154,706	–	154,706	154,083
საიჯარო ვალდებულებები	–	11,125	–	11,125	11,125

(ათას ლარში)

30. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	სამართლიანი ღირებულების შეფასება				
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დონე 1)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (დონე 2)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
წარმოებული ფინანსური აქტივები					
სავალუტო სვოპები	-	1,160	-	1,160	1,160
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	76,941	-	76,941	76,941
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	23,811	-	23,811	23,811
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	746,408	746,408	834,500
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	29,051	-	29,051	29,051
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები					
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	-	14,404	-	-	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავალუტო სვოპები	-	394	-	394	394
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	-	709,320	-	709,320	709,604
მომხმარებელთა ანგარიშები	-	96,735	-	96,735	96,738
საიჯარო ვალდებულებები	-	13,226	-	13,226	13,226

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ აღწერილია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად გამოყენებული მეთოდოლოგია და დაშვებები.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება სავარაუდოდ უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს სავალუტო სვოპებს და სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელი შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით.

(ათას ლარში)

30. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

არაკოტირებული სავალო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

31. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

	2020		2019	
	გარიგების ღირებულება	ნაშთი	გარიგების ღირებულება	ნაშთი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	16
ვალდებულებები				
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები, სუბორდინირებული სესხის გარდა	-	48,909	-	46,683
სუბორდინირებული ვალი	-	20,631	-	6,774
მომხმარებელთა ანგარიშები	-	1,242	-	-
მოგება ან ზარალი				
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები, სუბორდინირებული სესხის გარდა –				
საპროცენტო ხარჯი	4,241	-	4,904	-
სუბორდინირებული ვალის – საპროცენტო ხარჯი	2,453	-	886	-
მომხმარებლის ანგარიში – საპროცენტო ხარჯი	32	-	-	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,439	-	1,269	-

ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხები, სუბორდინირებული ვალი და მათთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ოპერაციებს ბანკზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქტივებთან. ამასთან, სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოადგენს საკონტროლო პაკეტის მფლობელების მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულებას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2021 წლის აპრილიდან 2027 წლის აპრილამდე მერყეობს. აღნიშნული სესხები გამოხატულია აშშ დოლარსა და ლარში და ერიცხება 3.7%-დან 14.5%.-მდე საპროცენტო განაკვეთი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვის ვადა 2020 წლის მარტიდან 2026 წლის სექტემბრამდე მერყეობს. აღნიშნული სესხები გამოხატულია აშშ დოლარსა და ლარში და ერიცხება 3.7%-დან 14.00%.-მდე საპროცენტო განაკვეთი.

(ათას ლარში)

31. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის თანამშრომლის კომპენსაციაში შემავალი სრული ანაზღაურება, რომელიც გამოხატულია მოკლევადიანი სარგებლის სახით:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
დირექტორთა საბჭოს წევრები	2,410	1,723

32. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას თავის ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ბანკის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან გარდა მიმდინარე წლის მოგების/ზარალი, მინუს ბანკის სააქციო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა და არამატერიალური აქტივები. ფასს-ის მიხედვით მიღებული თანხები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. საზედამხედველო კაპიტალის მეორე კომპონენტი მეორადი კაპიტალია, სადაც შედის მიმდინარე წლის მოგება/ზარალი, საერთო რეზერვები (არაუმეტეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა) და სუბორდინირებული გრძელვადიანი სესხი.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ II/III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ რეგულაციაში (გადაწყვეტილება # 100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, რათა მოიცვას პილარ I-ის მოდელი და განსაზღვროს კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრაციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და სრული კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ითა და 8.00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის განაკვეთი 2.50%-ით, ხოლო კონტრაციკლური ბუფერის – 0.00%-ით განისაზღვრა. პილარ I-ის ბუფერებში ცვლილებების შეტანა სებ-ის უფლებამოსილებაა.

2017 წლის 18 დეკემბერს, პილარ I-ის ბუფერებზე დამატებით, სებ-მა ასევე გამოსცა და დაამტკიცა პილარ II-ის მოთხოვნები. პილარ II-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კაპიტალის ბუფერებს: არაპეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR), წმინდა GRAPE (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრესტესტის (სტრესგამძლეობის ანალიზი) ბუფერი.

(ათას ლარში)

32. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (გაგრძელება)

საქართველოს ეკონომიკასა და საბანკო სექტორზე კოვიდ-19-ის საზიანო გავლენის შესამცირებლად, 2020 წლის მარტში სებ-მა გადაავადა მოთხოვნები კონტრციკლურ ბუფერზე, ასევე კონცენტრაციისა და სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერებზე – რაც წარმოადგენდა საზედამხედველო გეგმის ფარგლებში მიღებულ ზომებს. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს მოუხდა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის განაკვეთის შენარჩუნება 0.17%-ის დონეზე, ძირითადად, მომხმარებლებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პროცენტული წილის გამო, და წმინდა GRAPE ბუფერის შენარჩუნება რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების 2.4%-ის დონეზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ III/III-ის სრული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს მოეთხოვებოდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის, საერთო პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტისა და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შენარჩუნება 10.57%-ის, 4.95%-ისა და 6.61%-ის ოდენობით, შესაბამისი თანმიმდევრობით (2019 წ.: 13.43%, 7.66%, 9.38%).

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალის ადეკვატურობის ამ კოეფიციენტებს. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	<i>2020</i>	<i>2019</i>
ძირითადი პირველადი კაპიტალი	143,907	131,507
დამატებითი პირველადი კაპიტალი	–	–
პირველადი კაპიტალი	143,907	131,507
მეორადი კაპიტალი	45,486	31,101
სულ საზედამხედველო კაპიტალი	189,393	162,608
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	1,249,026	996,558
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	11.5%	13.2%
სულ პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	11.5%	13.2%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	15.2%	16.3%

33. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის მარტის ბოლოს ბანკმა მიიღო სუბორდინირებული სესხი ადგილობრივ ვალუტაში 11,695 ლარის ოდენობით, რომელსაც ვადა გასდის 2028 წელს. ეს გარიგება დაამტკიცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და იგი კიდევ უფრო ამყარებს ბანკის კაპიტალის პოზიციას.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2021 წლის 23 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

სს „კრედო ბანკი“
2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება





**Building a better
working world**

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

სს „კრედიო ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს,

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 23 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი, 2021 წ.

შინაარსი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა.....	1
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	1
მმართველობითი ანგარიშგება.....	1
1. საქმიანობის მიმოხილვა.....	2
1.1 განვითარების გეგმები და მიმდინარე შედეგები.....	2
1.1.1 განვითარების გეგმები	2
1.1.2 ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	3
1.1.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	3
1.1.4 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
1.1.5 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	4
1.1.6 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	4
1.2 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	4
1.2.1 საკრედიტო რისკი.....	4
1.2.2 საოპერაციო რისკი	7
1.2.3 საბაზრო რისკი	7
1.2.4 უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული რისკი.....	8
1.2.5 ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი	8
1.2.6 საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი	9
1.2.7 COVID-19 პანდემიის მიზეზით გამოწვეული რისკები	10
2. კორპორატიული ანგარიშგება	12
3. არაფინანსური ანგარიშგება	12
3.1 არაფინანსური საკითხები	12
3.1.1 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები	12
3.1.2 სოციალური და დასაქმების საკითხები.....	12
3.1.3 ადამიანის უფლებათა დაცვა	14
3.1.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.....	14
3.2 ბიზნეს მოდელის მიმოხილვა.....	14
3.3 საქმიანობის რისკების ანალიზი.....	15
3.4 საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები	15
3.5 გამოყენებული პოლიტიკების აღწერა.....	15

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

სს კრედიო ბანკი

გენერალური დირექტორი

ზაალ ფირცხელავა



წინამდებარე ანგარიშგება ასახავს ორგანიზაცია კრედო ბანკის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კრედო“) შესახებ ძირითად ინფორმაციას, რომელიც განკუთვნილია საზოგადოებრივი დაინტერესების მიზნებისათვის.

1. საქმიანობის მიმოხილვა

კრედო მოღვაწეობს საქართველოს ბაზარზე 1997 წლიდან, როცა ის დაარსდა ფონდის სახით საზღვარგარეთიდან მოზიდული ინვესტიციების საშუალებით ამერიკული ორგანიზაცია World Vision-ის მიერ. 2007 წელს კრედო გარდაიქმნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად, რა სახითაც ის ეწეოდა საქმიანობას 2017 წლამდე. 2014 წელს კრედოს წილის 100% გაიყიდა და დღემდე აქციების უმრავლესობა ეკუთვნის გერმანიის რეზიდენტ ორგანიზაციას Access Microfinance Holding AG. აქციების უმცირესობას ფლობენ ნიდერლანდების რეზიდენტი ორგანიზაციები Legal Owner Triodos Funds B.V., Triodos SICAV II-Triodos Microfinance Fund. ასევე, ლუქსემბურგის რეზიდენტი ორგანიზაციები ResponsAbility Participations AG, ResponsAbility SICAV (Lux) (Micro and SME Finance Leaders) და responsAbility Global Micro and SME Finance Fund. აღსანიშნავია, რომ ბანკს 2021 წლის ივლისში შემოუერთდა ახალი აქციონერი - Société de Promotion et de Participation pour la Coopération Economique (Proparco). 2017 წელს კრედო გარდაიქმნა ბანკად.

მიუხედავად იმისა რომ კრედოს ძირითადი მიმართულება არის სასოფლო სამეურნეო ბიზნეს საჭიროებების დაკრედიტება, კრედოს მომხმარებელი არის ნებისმიერი მოლაქე, რომელსაც სურს ისარგებლოს საბანკო მომსახურებით, ეს იქნება სესხი, დანაზოგის განთავსება, გადარიცხვა თუ სხვა.

კრედოს არის ლიდერი მიკროსაფინანსო პროდუქტების ბაზარზე, სადაც წამყვანი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა. კრედო წარმოადგენს საქართველოში ერთ ყველაზე დიდ დამსაქმებელს. 2018 წლიდან კრედომ აქტიურად დაიწყო კლიენტებისგან ვადიანი დეპოზიტების და შემნახველი ანაზღაურების მიღება.

1.1 განვითარების გეგმები და მიმდინარე შედეგები

კრედო წარმოადგენს საქართველოს სასოფლო სამეურნეო სექტორში ერთ ყველაზე მსხვილ დამფინანსებელს. კრედოს საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ.

1.1.1 განვითარების გეგმები

კრედოს განვითარების გეგმები უკავშირდება კრედოს როგორც ბანკის განვითარებას, რაც გულისხმობს საბანკო მომსახურებების დანერგვას, რაც კრედოს მისცემს საშუალებას მომხმარებლებს შესთავაზოს სრული სპექტრი საბანკო მომსახურებებისა.

„კრედოს“ სტრატეგია არის ინოვაციური ფინანსური და არაფინანსური პროდუქტების და განსაკუთრებულად ხარისხიანი მომსახურების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი სოფლის მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის, მათი ოჯახებისთვის და თანამშრომლებისთვის.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში „კრედიტ“ ფოკუსირებას მოახდენს ეფექტურობიდან მიღებულ სარგებელზე, რომლის მიზანია საქართველოს დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ფენისთვის ფინანსურ და არა-ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესების გაგრძელება. ეს გამოიწვევს პროდუქციისა და მომსახურების უფრო დივერსიფიცირებული სპექტრის შეთავაზებას კლიენტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და სხვა შეთავაზებებთან ერთად ასევე გათვალისწინებული იქნება ახალი სადაზღვევო პროდუქტები, მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები, მობილური ბანკინგი და სწავლებები სოფლის მეურნეობის დარგში.

„კრედიტ“ რისკის მართვის სტრატეგია მომდინარეობს მისი ბიზნეს სტრატეგიიდან და ბანკის რისკის პროფილის განსაზღვრისას ითვალისწინებს ბიზნეს მოდელისათვის დამახასიათებელ ყველა ფაქტორს.

ბანკი გეგმავს სტაბილურ, მაგრამ აქტიურ განვითარებას, რაც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის ზრდაში. ბანკი მთლიანად აცნობიერებს იმ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ბიზნეს მოდელთან და აქტიურ განვითარებასთან და უზრუნველყოფს სათანადო პლატფორმას იმისათვის, რომ შეამციროს ეს რისკები, ადეკვატური საზედამხედველო და ეკონომიკური კაპიტალის, ასევე სათანადო სტრუქტურის, პოლიტიკების, პროცედურებისა და ანგარიშგების ჩამოყალიბების გზით.

1.1.2 ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

2020 წლის ბოლოს კრედიტ ოპერირებდა 75 ფილიალის/სერვის ცენტრის საშუალებით. სერვის ცენტრები წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონალურ ცენტრსა თუ ქალაქში. სერვის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს მრავალი ტიპის საბანკო მომსახურებას.

1.1.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კრედიტ მუდმივად ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას და საკუთარი თანამშრომლების მომსახურების ხარისხის კვლევას მისტიური მომხმარებლების საშუალებით. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ყოველწლიურად ხდება ცვლილებები მომხმარებელზე გათვლილ პროდუქტებში და მომსახურების სტანდარტებში.

1.1.4 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები^{000 ლარებში}

	2020	2019
წმინდა მოგება	10,858	29,539
მთლიანი აქტივები	1,350,324	1,010,232

არაფინანსური მაჩვენებლები

	2020	2019
ფილიალების რაოდენობა	75	71
თანამშრომლების რაოდენობა*	2,521	2,310
კლიენტების რაოდენობა	336,748	300,880

*არ მოიცავს სოფლის კონსულტების და გაყიდვების ოფიცრების რაოდენობას

გარემოს დაცვის მაჩვენებლები - არ შედის ძირითად მაჩვენებლებში კრედიტ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

1.1.5 ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

საკუთარი აქციების გამოსყიდვა კრედოს მიერ არ მომხდარა.

1.1.6 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

იხილეთ კრედოს აუდირებული ანგარიშგება, რომელიც განთავსებულია კრედოს ვებსაიტზე შემდეგ მისამართზე:

https://credobank.ge/app/uploads/2021/04/FS_Credo_YE_2020_issued.pdf

1.2 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კრედო თავის ძირითად რისკებად, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინონ ორგანიზაციის საქმიანობაზე, განიხილავს შემდეგი ტიპის კატეგორიებს

- ▶ საკრედიტო რისკი
- ▶ საოპერაციო რისკი
- ▶ საბაზრო რისკი
- ▶ ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი
- ▶ საქმიანი რეკლამაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი
- ▶ COVID 19 პანდემიის მიზეზით გამოწვეული რისკები

1.2.1 საკრედიტო რისკი

ბანკის საკრედიტო სტრატეგიას წარმოადგენს დივერსიფიცირებული და რენტაბელური სასესხო პორტფელის შექმნა როგორც სოფლის, ისე ქალაქის ტერიტორიებზე, ამ პორტფელის უმაღლესი ხარისხის შენარჩუნების გზით. იმისათვის, რომ მოხდეს ჯანსაღი პორტფელის შექმნა და შენარჩუნება, სესხის გაცემის პროცესები და წესები შემუშავდა გონივრული წინდახედულობის პრინციპებზე დაყრდნობით.

საკრედიტო რისკი აშკარად ყველაზე არსებითი და მატერიალური ხასიათის რისკია „კრედო“-სთვის. კრედო დგამს შემდეგ ნაბიჯებს საკრედიტო რისკების შეფასებისა და მართვისთვის:

საკრედიტო რისკების მართვის სათანადო გარემოს შექმნა - ეს მიიღწევა წერილობითი საოპერაციო პოლიტიკის საფუძველზე, რომლის დანართებიც მოიცავს ინფორმაციას სამიზნე ბაზრებს, სასესხო პროდუქტების, საპროცენტო განაკვეთების, თანხობრივი ლიმიტების აგრეთვე დამამტკიცებელი ერთეულების, გამონაკლისებისა და ანგარიშგების შესახებ. ბანკი განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალის რეგულარულ სწავლებას საკუთარ სასწავლო აკადემიაში, რეგულარული სემინარებისა და საწარმოო შეხვედრების დროს, კონტროლის მექანიზმებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თანამშრომელთა კარიერა და დაწინაურების საფეხურები დაკავშირებულია პორტფელის ხარისხთან. წახალისების ყველა სქემას, მათ შორის მენეჯმენტისას, გააჩნია მიღწეული შედეგების ხარისხობრივი კომპონენტები.

ყველა საკრედიტო გადაწყვეტილება მიიღება საკრედიტო კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება სულ მცირე ორი წევრისგან, საამისოდ გამოყოფილი რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ, ანუ არც-ერთ თანამშრომელს არ შეუძლია სესხის შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება.

საკრედიტო რისკებს მონიტორინგს უწევს საკრედიტო დეპარტამენტი. არსებობს სესხის დამტკიცების რამდენიმე დონე სესხის თანხის შესაბამისად.

„კრედო“ ცდილობს, შექმნას სესხის დროული და სწრაფი გადახდის პრაქტიკა იმ მსესხებლების წახალისებით, რომლებიც იცავენ სესხების პირობებს. ამისათვის ასეთ კლიენტებს სთავაზობს სამომავლოდ სესხის აღების შესაძლებლობას უკეთესი პირობებით. სესხის ოფიცრის მიერ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასება, გულისხმობს არა მარტო საწარმოს ფულადი ნაკადების გამოთვლას და მისი ლიკვიდურობის შეფასებას, არამედ იმ მონაცემების შეფასებასაც, რომლებიც წარმოდგენილია ოფიციალურ საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებსა და/ან ჩანაწერებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პრობლემური სესხების ამოღების სპეციალური განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია მრჩეველებით სამართლებრივ საკითხებში, ხელს უწყობენ პრობლემური ვალების ამოღებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას. „კრედო“ ასევე იყენებს სტანდარტიზირებულ ქულების ბარათებს, (scorecards) რომელთა განახლება ხდება რეგულარულად და ამგვარად ხდება თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.

ფუნქციონირება კრედიტის გაცემის ჯანსაღი პროცესით - კრედიტის გაცემა გულისხმობს სხვადასხვა ელემენტის გათვალისწინებას, რომლებიც აღწერილია საოპერაციო პოლიტიკაში. აღნიშნული პროცესი ასევე ითვალისწინებს სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობას კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად (მაგ; მოსავლის დაზღვევა, მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა და ა.შ). აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტების მიზანია სასესხო პორტფელისთვის კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკის შერბილება. სესხის ანალიზისას ძირითადი ფოკუსირება ხდება მომავლი კლიენტის გადახდის უნარიანობასა და მის სურვილზე, გადაიხადოს სესხი; ამისათვის კი პირველ რიგში ხდება ბიზნესის ფულადი ნაკადების ზედმიწევნითი გამოთვლა. სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი აქტივებისა და მათი პროფესიონალური შეფასების არსებობისას, ხდება უზრუნველყოფის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ანალიზის ამ ასპექტს გადაწყვეტილების მიღების იერარქიაში მხოლოდ მეორადი რანგი უკავია.

კრედიტის სათანადო მართვის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დაცვა - ეს გულისხმობს იმ რამდენიმე ძირითადი საყურადღებო საკითხის რეგულარულ მონიტორინგს, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალურ და ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებთან. აღნიშნული მოიცავს მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობის მონიტორინგს, არსებულ გადახდის გრაფიკთან ვალდებულებების შესრულების შესაბამისობას, უზრუნველყოფის საკმარისობის მონიტორინგს, ასევე დაკავშირებული მსესხებლების მონიტორინგს რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ რეფინანსირებულ/რესტრუქტურირებულ მსესხებლებთან დაკავშირებულ რისკებს, როდესაც ბანკი იყენებს სათანადო ხელშეკრულების პირობებს და მისი მიღებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს, ატარებს კრედიტის ინტენსიურ კონტროლს და რეფინანსირების/რესტრუქტურირების ზედმიწევნით მონიტორინგს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის სასესხო პორტფელი;

სათანადო ანგარიშგება პორტფელის ხარისხის შესახებ - პორტფელის ხარისხისა და სესხის ლიმიტების შესახებ რეგულარულად დგება ანგარიშგებები და წარედგინება ბანკის მენეჯმენტს სასესხო პორტფელის ანგარიშგებების მეშვეობით. ბანკი ახდენს კრედიტების კლასიფიკაციას პრობლემური და უპრობლემო სესხების სახით, და ქმნის სათანადო რეზერვებს სესხებთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის დაფარვის მიზნით, ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. პორტფელის შესახებ ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას პორტფელის თანხებისა და გადასახდელების მიხედვით განაწილების შესახებ, ასევე სექტორებისა და რეგიონების, ვალუტებისა და პროდუქტების და ა.შ. მიხედვით.

რეგისტრირებული უზრუნველყოფა - საკრედიტო რისკის მიტიგაციის უმნიშვნელოვანეს სახეობას წარმოადგენს სათანადო წესით რეგისტრირებული სესხის უზრუნველყოფა. „კრედოს“ მიერ უზრუნველყოფად გამოყენებულია: უძრავი ქონება, მოძრავი ქონება, მესამე პირის გარანტია, ძვირფასეულობა. უზრუნველყოფის სათანადო რეგისტრაციამდე ის შეფასებული უნდა იქნას შესაბამისი კომპეტენციის მქონე, დამოუკიდებელი ექსპერტ შემფასებლის მიერ. საოპერაციო პოლიტიკაში დეტალურად აღწერილია შეფასების პროცედურები. ამა თუ იმ სერვის ცენტრის მომსახურე ექსპერტ შემფასებლის როტაცია ხდება ყოველ კვარტალში ერთხელ. უზრუნველყოფად უძრავი ქონების გამოყენებისას, მსესხებელი თავად უნდა იყოს ამ ქონების მესაკუთრე, თუ ეს პირობა არ სრულდება იპოთეკის რეგისტრაციის გარდა, ქონების მესაკუთრე ამავედროულად უნდა იყოს მსესხებლის გარანტორიც.

უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები (CICR) სავალუტო კურსთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები რელევანტურია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთლიანი პორტფელისთვის, გარდა ჰეჯირებული მსესხებლების შემთხვევებისა, როდესაც კლიენტის შემოსავალი იგივე ვალუტაშია ნომინირებული, რაც სესხი. საკრედიტო პორტფელში, უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, კრედიტის გაცემის პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი წესები:

კრედოს გააჩნია თანმიმდევრული მიდგომა CICR-ის რისკთან დაკავშირებით - უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საკრედიტო ბუფერის დაწესების გზით. აღნიშნული მიიღწევა კლიენტების შემოსავლების ფაქტიურ გაცვლით კურსთან შედარებით უფრო კონსერვატიულ გაცვლით კურსზე გაყოფის გზით და შესაბამისად კლიენტის გადახდის უნარიანობის ანალიზისას, სესხის მომსახურეობის უფრო კონსერვატიული კოეფიციენტის მხედველობაში მიღებით, ვიდრე ეს ლარში გაცემული სესხების შემთხვევაში ხდება.

კონტრაგენტის საკრედიტო რისკი - ეს რისკი დაკავშირებულია ამა თუ იმ გარიგების კონტრაქტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკთან და გულისხმობს კონტრაქტის შესაძლო დეფოლტს გარიგების შესრულებამდე ანუ ფულადი ნაკადებით საბოლოო ანგარიშსწორებამდე. კონტრაქტის საკრედიტო რისკი გაითვალისწინება საპროცენტო განაკვეთთან და უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებულ იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მომავალში - შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. ამ ტიპის ოპერაციებს განეკუთვნება ფიუჩერსი, სვოპები, ოპციონები და სხვა დერივატივები.

აღნიშნული რისკის მიტიგაციისათვის „კრედო“ ბანკს შემუშავებული აქვს ლიმიტების სისტემა თითოეული კონტრაქტის მიმართ განსახორციელებელი სახაზინო ოპერაციების სახეობების მიხედვით. ეს ლიმიტები განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკით, რომელიც დამტკიცებულია ALCO-ს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ლიმიტები განიხილება ყოველწლიურად და ყველა შემთხვევაში მაშინ, როდესაც პარტნიორის შესახებ სათანადო ინფორმაციას შეიტყობს ბანკი. კონტრაქტის ყველა ლიმიტი მტკიცდება და რეგულარულად განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

1.2.2 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი შეიძლება წარმოიშვას შიდა პროცესების ან სისტემების არაადეკვატური ფუნქციონირების შედეგად, გარე მოვლენების (ხდომილებების) გამო, ასევე თანამშრომლების მიერ ვალდებულებების არაადეკვატურად შესრულების ან სავალდებულო პირობების, კონტრაქტებისა და შიდა რეგულაციების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად. საოპერაციო რისკი მოიცავს სამართლებრივ რისკს, თუმცა გამორიცხავს რეპუტაციის და სტრატეგიულ რისკებს.

იმისათვის, რომ მოხდეს საოპერაციო რისკის შეფასება და მართვა, „კრედო ბანკი“ იყენებს შემდეგ საშუალებებს და დგამს შემდეგ ნაბიჯებს:

რისკების რუკა - ბანკის საოპერაციო რისკის პოლიტიკა უზრუნველყოფს კომპლექსურ ჩარჩოს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვისთვის. პოლიტიკა აყალიბებს იმ პრინციპებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ან შერბილება;

საოპერაციო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მონიტორინგი და შერბილება - მოიცავს შემოწმებების სისტემას საოპერაციო რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების მიზნით;

ბანკის საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოიცავს შემდეგს:

ზარალის შესახებ მონაცემების შეგროვება - დაფიქსირებული ზარალის შესახებ მონაცემების შეგროვება ბიზნეს ერთეულების ჩართვის გზით (მონაცემთა დეცენტრალიზირებული შეგროვება);

თვით-შეფასება - არსებული რისკებისა და ზარალის შესაძლო მოვლენების შეფასება (ასევე ფასდება სიხშირე და სიმკაცრე) ბიზნეს ერთეულების ჩართვის და სათანადო ბიზნეს პროცესების რისკზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვის საფუძველზე;

რისკის შერბილების ღონისძიებების განსაზღვრა და მათი მონიტორინგი - ზარალის შესახებ შეგროვილ მონაცემებზე და თვით-შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

საოპერაციო რისკის მართვა ბანკში ხორციელდება სამ დონეზე (ბიზნეს ერთეულების/დეპარტამენტების დონეზე, საოპერაციო რისკის ერთეულის დონეზე/რისკის კომიტეტისა და ასევე აუდიტის დონეებზე)

1.2.3 საბაზრო რისკი

„კრედო“-სათვის რელევანტურია ორი ტიპის საბაზრო რისკი - ბანკის სასესხო პორტფელის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსთან დაკავშირებული რისკი. ორივე მათგანი დეტალურად აღწერილია ქვემოთ.

ბანკის პორტფელის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი - საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი არის არსებული ან მოსალოდნელი რისკი, რაც დაკავშირებულია როგორც შემოსავლების ისე კაპიტალის შესაძლო შემცირებასთან და რისი მიზეზიც შეიძლება იყოს საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილება. რამდენადაც „კრედოს“ არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი, რელევანტურია მხოლოდ საბანკო პორტფელთან დაკავშირებული რისკები.

„კრედოსათვის“ აქტუალური საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკების ტიპებია:

გადაფასებასთან დაკავშირებული რისკი, ანუ რისკი, რომელიც წარმოიშობა დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების განსხვავებული ვადიანობის სტრუქტურის გამო და ისეთი განფასების შედეგად, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების გადაფასების სხვადასხვა პერიოდი;

რენტაბელობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი, ანუ რისკი, რომელიც წარმოიშობა რენტაბელობის მრუდის ზომისა და დახრილობის ცვლილებების გამო;

გადაფასებასთან დაკავშირებულ რისკს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არ არსებობს თანხვედრა აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურებს შორის და იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების გადახედვა ხორციელდება დროის სხვადასხვა ინტერვალში ან განსხვავებული ტიპის საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე (მაგ: აქტივები გაცემულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო ვალდებულებები მიღებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით). „კრედო“ ახორციელებს საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკების მართვასა და მონიტორინგს საპროცენტო განაკვეთების გადაფასების ვადიანობასთან დაკავშირებული გეპ ანალიზის მეშვეობით.

1.2.4 უცხოური ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული რისკი

ასეთი რისკი მომდინარეობს კონკრეტული ვალუტის მიხედვით ღია ან არათანაბრად ჰეჯირებული პოზიციების არსებობის შემთხვევაში უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მოულოდნელი ცვლილებების შედეგად (რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ზარალი ადგილობრივ და საანგარიშგებო ვალუტაში).

სავალუტო პოზიციების მართვა ხდება ბანკის ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით. სავალუტო პოზიციის გამოთვლა ხორციელდება სებ-ის რეგულაციების შესაბამისად და ხდება საბალანსო და კრებსითი ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის ყოველდღიური მონიტორინგი და დაცვა.

1.2.5 ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი

ლიკვიდურობა წარმოადგენს ბანკის უნარს ერთის მხრივ დააფინანსოს აქტივების ზრდა, მეორეს მხრივ შეასრულოს ვადა დამდგარი გადასახდელი ვალდებულებები და ამავდროულად არ განიცადოს დაუშვებელი ზარალი. ფაქტიურად ყველა ფინანსური ტრანზაქცია ან ვალდებულება შეიცავს ინფორმაციას ბანკის ლიკვიდურობასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის რისკის ეფექტური მართვა ხელს უწყობს ბანკის უნარიანობას დააკმაყოფილოს დაუგეგმავი (მოულოდნელი) ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გარეშე მოვლენების და/ან სხვა დაინტერესებული პირების (კრედიტორების) ქცევის გამო. ლიკვიდურობის რისკის მართვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლიკვიდურობის ნაკლებობამ ერთ საბანკო ინსტიტუტში შეიძლება გამოიწვიოს სისტემური შედეგები.

„კრედოს“ საშუალო ვადიანი პერსპექტივაში, ანაბრები (დეპოზიტები) შეზღუდულ როლს ითამაშებენ დაფინანსებაში. ლიკვიდურობის რისკის მთავარი წყარო მომდინარეობს ინსტიტუციონალური (საბაზრო) დაფინანსების განახლებიდან. ამ სახსრების გადახდის ვადების დეტალურად დაგეგმვა და მართვა, წარმოადგენს „კრედოს“ ლიკვიდურობის რისკის მართვის ძირითად ელემენტს:

დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება ALCO-ს რეგულარულ სხდომებზე, რომლებიც ტარდება სულ მცირე ყოველთვიურად ან უფრო ხშირად, თუ ეს საჭიროა;

ლიკვიდურობის პოზიცია ფასდება ყოველთვიურად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკით;

გარდა ამისა, ბანკის სახაზინო დეპარტამენტი ახორციელებს პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს და უზრუნველყოფს შესაბამისი ლიკვიდურობის პოზიციების შენარჩუნებას იმ შიდა ლიმიტების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით და ამავდროულად ითვალისწინებს ისეთ სათანადო შიდა და გარე ფაქტორებს, როგორცაა ხარჯებისა და განაცემების სეზონურობა.

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ლიკვიდურობა, ბანკი ახორციელებს ჭარბი ლიკვიდობის ალოკაციას მოკლევადიანი დეპოზიტების სახით კონტრაგენტ ბანკებში, თითოეული კონტრაგენტისათვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. აღნიშნული ლიმიტების განახლება ხდება რეგულარულად. ბანკი ცდილობს მაქსიმალურად მოახდინოს საკუთარი კონტრაგენტების მიხედვით აქტივების დივერსიფიკაცია იმის გათვალისწინებით, რომ უპირატესობა ენიჭება ტოპ-რეიტინგის მქონე ბანკებს საქართველოში.

1.2.6 საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი არის მიმდინარე ან შესაძლო ირიბი რისკი, რომელიც ემუქრება შემოსავლებისა და კაპიტალის დაკარგვას და მომდინარეობს კლიენტების, კონტრაგენტების, აქციონერების, ინვესტორების ან მარეგულირებლების მხრიდან ფინანსური ინტიტუტების იმიჯის უარყოფითად აღქმით. ეს თავისთავად გამოხატულებას პოულობს იმ ფაქტში, რომ გარეშე მოსაზრება ორგანიზაციასთან დაკავშირებით ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე სასურველი.

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკი შეიძლება წარმოიშვას საბანკო სფეროს სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, სამართლიანი საბაზრო პრაქტიკის არარსებობის გამო, დაბალი ან სავალალო მომსახურების ხარისხის, ბიზნესის არასათანადო წარმართვის ან მარეგულირებელი ორგანოს არასასურველი მოსაზრების ან მოქმედებების გამო.

საქმიანი რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის მართვა ხორციელდება რამდენიმე პროცესისა და კრედო ბანკის სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

კრედოს ჰყავს ძლიერი და რესპექტაბელური აქციონერები და სავალალო ინსტრუმენტების ინვესტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალდებულებების შესრულებას საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკების შესაბამისად, განსაკუთრებით კი ეს ეხება: მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, AML-სს, კორპორატიულ მართვას, გარემოზე ზემოქმედებასა და სოციალური რისკების მართვას;

Access Holding AG-მ, რომელიც წარმოადგენს კრედოს მშობელ კომპანიას, დანერგა მომხმარებლების დაცვის საერთო მაკლდებულებელი პოლიტიკა მის მიერ დაფუძნებულ ყველა კომპანიაში. აღნიშნული პოლიტიკა მოითხოვს რეგულარულ ანგარიშგებას მომხმარებლების დაცვასთან დაკავშირებული საკითხებზე;

კრედოს გააჩნია გარემოსა და სოციალური ეფექტურობის მკაცრი პოლიტიკა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს თანამშრომლის სამუშაო პირობებს, ბავშვის შრომასა და „კრედოს“ საინვესტიციო პოლიტიკას. ბანკის სესხის გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობა შემოიფარგლება გამონაკლისების სიით, ყველა პოტენციური კლიენტი და ბიზნესები დაფინანსებამდე მოწმდება ამ სიის საფუძველზე. კრედო რეგულარულად მოახსენებს საკუთარ აქციონერებს და მისი დამფინანსებელი პარტნიორების უმრავლესობას გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. რეგულარულად ხდება ES პოლიტიკის განახლება და განხილვა და ექვემდებარება ინვესტორების მიერ მათი ფინანსური მდგომარეობის ხშირ შემოწმებას;

„კრედოს“ აქციონერები აწესებენ საოპერაციო პოლიტიკას, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ორგანიზაციის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლებზე ფოკუსირებასთან, საინვესტიციო პოლიტიკასთან, კრედიტის გადახდისუნარიანობის შეფასების სტანდარტებთან, თანამშრომლებთან მოპყრობასთან და სხვა გარე დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობასთან;

აქციონერების მიერ განსაზღვრულია „კრედო“-ს ვალდებულება, შეარჩიოს მხოლოდ ტოპ აუდიტორული კომპანიებიდან ერთ-ერთი, მისი ფინანსური ანგარიშგებების გარე აუდიტორული ყოველწლიური შემოწმების მიზნით. ასევე შეინარჩუნოს სადაზღვევო მომსახურება ისეთ რესპექტაბელურ კომპანიებთან, რომლებიც აზღვევენ კლიენტთა ლოიალურობას, ნაღდ ფულს, ელექტრონულ თაღლითობას, ძირითად საშუალებებს, დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობას;

კრედოს გააჩნია ქოლ ცენტრის განყოფილება, რაც აძლიერებს მომხმარებლების მხრიდან უკუკავშირის საშუალებას საჩივრებთან და წინადადებებთან დაკავშირებით;

კრედო ფლობს სასწავლო აკადემიას, სადაც იგი ასწავლის და გადაამზადებს პერსონალს მთელი წლის განმავლობაში. სწავლების ფუნქციები მოიცავს კრედოს მისიას, სამიზნე ჯგუფებს, კრედიტის გადახდისუნარიანობის სტანდარტებს, ქცევის კოდექსს, გარემოს დაცვასა და სოციალურ მართვას და AML-სს;

კრედოს გააჩნია დეტალური წერილობითი კლიენტთა მომსახურების სტანდარტები საკუთარი პერსონალისა და ფილიალებისთვის. ხორციელდება სტანდარტების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება კლიენტთა მომსახურების კონტროლის განყოფილების მიერ და ყოველწლიურად გარე მისტიური მომხმარებლების მიერ;

კრედო ატარებს ფოკუს ჯგუფების ყოველწლიურ გამოკითხვებს და რეგულარულ კვლევებს ბაზრებზე, პროდუქტებზე და არსებულ კლიენტებზე. კლიენტების შენარჩუნების კოეფიციენტის მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად.

ბიზნეს რეპუტაციის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკის მართვა ხდება პოლიტიკებითა და პროცესებით, კაპიტალის გამოყოფა არ ხდება.

1.2.7 COVID-19 პანდემიის მიზეზით გამოწვეული რისკები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა.

COVID-19-ის პანდემიის გამო ბანკმა დანერგა სტრესგამძლეობის რამდენიმე პროტოკოლი და საქმიანობის უწყვეტობის კომპლექსური გეგმა, რომელთა მიზანია თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა.

კრიზისის მიმართ ბანკისა და მისი ბიზნესმოდელის გამძლეობის შეფასებისთვის აქტუალურ ფაქტორებზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაში „კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა“.

ბანკის ხელმძღვანელობამ საქმიანობის უწყვეტობის გეგმის ფარგლებში შეიმუშავა სტრესული სცენარი, რომელიც ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12-თვიან პერიოდს მოიცავს, რომლის ძირითადი დაშვებებიც ეყრდნობა:

2020 წლის ივნისში ანაბრების გადინება და საპროცენტო განაკვეთების ზრდა ანაბრების გარკვეულ კატეგორიებზე;

რისკის ხარჯის კოეფიციენტის ზრდა, ან სესხის ძირითადი თანხის შენატანებისა და გადასახდელი პროცენტის შემცირება რესტრუქტურისაციის, საშეღვათო პერიოდებისა და რისკის ხარჯის ზრდის გამო.

პანდემიასთან დაკავშირებით ეროვნულმა ბანკმა დაზარალებული დარგებისათვის მოთხოვა ბანკებს 3 თვიანი საშეღვათო პერიოდის დაწესება. პარალელურად ეროვნულმა ბანკმა გაზრდილ რისკებზე რეაგირების მიზნით მოთხოვა ბანკებს ინდივიდუალურად დამატებითი რეზერვის შექმნა ეტაპობრივად 1 სექტემბრამდე.

ბანკმა გადაუვადა დაზარალებული დარგების წარმომადგენელ კლიენტებს სესხის გადახდა 6 თვით. ბანკმა შექმნა თავისი სასესხო პორტფელის 1 პროცენტი დამატებითი რეზერვის სახით ეროვნულის მოთხოვნის შესაბამისად.

ბანკმა პროაქტიულად დაიწყო მუშაობა საერთაშორისო ინვესტორებთან რათა მოეხდინა გადასახდელი ვალდებულებების ძირითადი თანხის გადავადება მომავალ პერიოდებში. საერთაშორისო ინვესტორებისგან ბანკმა მიიღო სრული მხარდაჭერა და მზადყოფნა რომ გამოიყოს დამატებითი რესურსებიც საჭიროების შემთხვევაში. ახალი სახსრების მოზიდვაც ხორციელდება შეუფერხებლად.

2020 წლის განმავლობაში, კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგებზე რეაგირების მიზნით, ბანკმა მოლაპარაკება აწარმოა ინვესტორებთან გარკვეული ფინანსური პირობების შემსუბუქებაზე, რომლებიც, მეტწილად, უკავშირდებოდა სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხს. ფინანსური პირობების გადასინჯვა, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს მოთხოვნილი კოეფიციენტების თანდათანობით შემობრუნებას პანდემიამდე დონეზე 2021-2022 წლების პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი დააკმაყოფილებს ფინანსურ პირობებს განჭვრეტად მომავალში ან შეძლებს შეღვათიანი ფინანსური პირობების მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნას ისე, რომ ეს დაემთხვეს საქართველოს ეკონომიკის აღდგენის დროს.

ბანკმა აიღო სუბორდინირებული სესხები Funds Managed by Triodos investment Management-ისგან და BlueOrchard-სგან კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის. ინვესტორები არიან ინფორმირებულები ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე, არსებულ რისკებზე და სრულად გაცნობიერებულად მოახდინეს სესხის გაცემა ბანკზე, რაც ადასტურებს ინვესტორების მხრიდან ბანკის მიმართ მაღალ ნდობას და მხარდაჭერას.

ბანკი ინტენსიურად მუშაობს კრედიტორებთან ახალი დაფინანსების მოსაპოვებლად და არსებული კრედიტების პირობების გადასახედად.

კრედოს რისკის მართვის სტრუქტურა შემდეგნაირად არის დაკომპლექტებული

- ▶ პირველი დაცვის დონე
 - საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი
 - პრობლემური სესხების დეპარტამენტი
 - სახაზინო დეპარტამენტი
 - საკრედიტო კომიტეტები
- ▶ მეორე დაცვის დონე
 - საკრედიტო რისკების განყოფილება
 - ფინანსური ანალიზისა და რისკების განყოფილება
 - საოპერაციო რისკების განყოფილება
 - რეგულაციებთან შესაბამისობის განყოფილებები
- ▶ მესამე დაცვის დონე
 - სამეთვალყურეო საბჭო
 - დირექტორთა საბჭო
 - რისკის კომიტეტი
 - აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
 - აუდიტის კომიტეტი
 - შიდა აუდიტი
 - გარე აუდიტი
 - სატენდერო კომიტეტი

2. კორპორატიული ანგარიშგება

კრედოს არ ევალება ამ ნაწილის წარდგენა, რადგან მისი აქციები არ ივაჭრება საჯაროდ.

3. არაფინანსური ანგარიშგება

3.1 არაფინანსური საკითხები

3.1.1 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

კრედოში დანერგილია გარემოსდაცვითს და სოციალური საქმიანობის პოლიტიკა, რომელიც ინტეგრირებულია კრედოს ოპერაციებში. კრედო არ ურთიერთობს იმ კომპანიებთან რომლებიც არღვევენ გარემოს დაცვის ნორმებს ან/და ეწევიან კრედოს შიდა პოლიტიკაში მოცემულ აკრძალულ საქმიანობის სახეობას

3.1.2 სოციალური და დასაქმების საკითხები

თანამშრომლები - კრედო წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსაქმებელს. კრედო იცავს გენდერულ თანასწორობას და თანაბარ შანსს აძლევს ორივე სქესის წარმომადგენლებს. კრედოში დასაქმებულია სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა თუ ასაკის ადამიანები საქართველოს ყველა კუთხიდან. კრედო თავის თანამშრომლებს ხელფასზე დანამატის სახით თავაზობს ჯანმრთელობის დაზღვევას, საპენსიო დაზღვევასა და ფიტნეს ცენტრის აბონემენტს.

კრედო ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სამუშაოს შეფასება ემყარება HAY სახელმძღვანელო სქემის პროფილის მეთოდოლოგიას. თითოეული პოზიციისთვის განისაზღვრება სამუშაო რანგი და სახელფასო შკალა, მინიმალური და მაქსიმალური ანაზღაურების დონეებით;

სახელფასო მატრიცა შედგენილია ეროვნულ ვალუტაში, ქართული საფინანსო ბაზრის ანაზღაურების მონაცემებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტული სახელფასო დონეები;

ხელფასების ზრდა თითოეული პოზიციისთვის განისაზღვრება სახელფასო მატრიცით და ეფუძნება შესრულებული სამუშაოს ხარისხს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას სათანადო კომპენსაციაში;

სამუშაოს რანგირების სისტემას ეფუძნება თანამშრომელთა სარგებლების გაცემის პროგრამები: თითოეული თანამშრომლის სარგებელი დაკავშირებულია მისი პოზიციის სამუშაო რანგთან და არა კერძოდ თანამშრომელთან, რაც უზრუნველყოფს ანაზღაურების სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

ხელფასისა და თანამშრომლების სარგებლის მართვის პროცედურები ნათლად განსაზღვრულია და ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის.

მომხმარებლები - კრედო ხელს უწყობს საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას ამიტომ უნიკალური შეფასების მეთოდის გამოყენებით აფინანსებს ისეთ მცირე მეწარმეებსაც, რომელთაც გადახდისუნარიანობის შეფასებას სხვა საკრედიტო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ და შესაბამისად ვერ სთავაზობენ მათთვის მისაღებ სასესხო პროდუქტებს. იმავდროულად კრედო იყენებს პასუხისმგებლიანი დაფინანსების სისტემას რაც გულისხმობს მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, თუ რა არის სესხი, თუ როგორ უნდა შეაფასოს მომხმარებელმა ასაღები თანხის მოცულობა, რათა ზედმეტი ვალი არ დაუგროვდეს. კრედო ბანკი SMART კამპანიის „მომხმარებელთა დაცვის სერტიფიკატის“ მფლობელია. SMART წარმოადგენს საფინანსო სექტორის მომხმარებელთა დაცვის ყველაზე ფართომასშტაბიან საერთაშორისო კამპანიას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საბანკო მომსახურების მიღების გასამარტივებლად სერვის ცენტრების შესასვლელებთან გაკეთებულია პანდუსები.

სოციალური საქმიანობა

ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი კლიენტებისთვის

შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე საზოგადოების ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალა, მათ შორის ყოველდღიური ქცევები. არსებულ ვითარებაში ჩვენი ხანდაზმული თაობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფს საქართველოში, აქედან გამომდინარე კრედო ბანკმა განახორციელა ღონისძიება, რომლის მიზანიც იყო მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რათა ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა კოვიდ 19-ით შექმნილი რთული ვითარება.

კრედო ბანკმა სადაზღვევო კომპანია იმედი ლ-თან პარტნიორობით ყველა მომხმარებელს, რომელიც იყო 71 წლის და მეტი საჩუქრად გადასცა უნიკალური მომსახურება „დაზღვევა და მეტი.“ აღნიშნული საჩუქრით კლიენტებს შეეძლოთ მიეღოთ 50%-მდე ფასდაკლება პრესტიჟულ და გამოცდილ სამედიცინო დაწესებულებებში, ხოლო 20% ფასდაკლება დანიშნულ მედიკამენტებზე.

ხარაგაულში სოციალურად დაუცველი ოჯახის მხარდაჭერა

კრედიტ ბანკმა განახორციელა საქველმოქმედო ღონისძიება. კოვიდ ვითარებიდან გამომდინარე სოციალურად დაუცველი პირების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, სწორედ ამიტომ კრედიტ ბანკმა გადაწყვიტა დახმარებოდა 15 სოციალურად დაუცველ ოჯახს საკვებითა და საყოფაცხოვრებო პროდუქტებით.

მსოფლიო დაზოგვის დღე

კრედიტ ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელა კამპანია დაზოგვის მიმართულებით. 2020 წლის ოქტომბერში ჩატარდა ბლოგპოსტის კონკურსი. კონკურსის მონაწილეებს უნდა დაეწერათ ბლოგი დაზოგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ცნობიერების გაზრდა დაზოგვის კუთხით და დაზოგვის კულტურის მნიშვნელობის ხაზგასმა. კრედიტ ბანკმა საუკეთესო ბლოგის ავტორს გადასცა 500 ლარიანი დეპოზიტი.

3.1.3 ადამიანის უფლებათა დაცვა

კრედიტ ბანკის მნიშვნელოვანია დაცული იყოს ადამიანთა უფლებები. კრედიტ ბანკში დანერგილია წესები და პროცედურები სადაც გათვალისწინებული „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი“, „კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „საქართველოს შრომის კოდექსი“

3.1.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

კრედიტ ბანკის მიუღებელია კორუფციული გარიგებები. შესყიდვების პოლიტიკის მიხედვით პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენონ მომწოდებლები და ასევე არ მიიღონ ქრთამი, საჩუქარი თუ სხვა სახის მატერიალური დაინტერესება მომწოდებლებიდან.

3.2 ბიზნეს მოდელის მიმოხილვა

კრედიტ ბანკის ბიზნეს მოდელი გულისხმობს შემოსავლების მიღებას საქართველოს მოსახლეობისათვის საბანკო მომსახურების მიწოდებით. კრედიტ ბანკის ძირითადი პროდუქტები წარმოადგენენ სასესხო პროდუქტებს. ასეთი სასესხო პროდუქტების დაფინანსების წყარო არის მოზიდული სახსრები არარეზიდენტი ინვესტორებიდან, არარეზიდენტი ბანკებიდან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, რეზიდენტი ბანკებიდან, ფიზიკური პირების დეპოზიტებიდან.

კრედიტ ბანკის მთავარი მიმართულება არის რეგიონის და სოფლის მეწარმეებისათვის ბიზნეს თუ სამომხმარებლო საჭიროებების დაფინანსება, სადაც ყველაზე დიდი დაფინანსების სფეროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა

საქართველოს საფინანსო ბაზარი წარმოდგენილია ბანკებით და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებით, რომელთა შორისაც საკმაოდ დიდი კონკურენციაა. საფინანსო ორგანიზაციები ოპერირებენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონსა თუ სოფელში.

კრედიტ ბანკი გააჩნია მომხმარებლის ფინანსური ანალიზის გამოცდილი და უნიკალური მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს სწორად შეაფასოს მომხმარებლის გადახდისუნარიანობა და შესაბამისი ზომის კრედიტი გასცეს მასზე. ეს მეთოდოლოგიები ასევე

ამდევს კრედოს საშუალებას, რომ კრედიტი გასცეს უფრო სწრაფად. კრედო იძენს უპირატესობას მომხმარებლებისათვის ინოვაციური პროდუქტების თუ მომსახურების გამარტივებული გზების შეთავაზებით.

კრედოს სამომავლო გეგმები გულისხმობს ამ წარმატებული გამოცდილების კიდე უფრო დახვეწას და საცალო მომსახურების მიმართულებით კიდევ უფრო გაძლიერებას. ამ მიზნებისათვის იდება ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში.

3.3 საქმიანობის რისკების ანალიზი

საქმიანობის ძირითადი რისკები დეტალურად არის აღწერილი „საქმიანობის მიმოხილვის“ ანგარიშგების 1.2-ში სექციაში.

3.4 საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კრედო თავისი საქმიანობის არაფინანსურ მაჩვენებლებად განიხილავს

ბრენდის უპირატესობა - კრედოს ბრენდი სარგებლობს მაღალი ცნობადობით საქართველოს მიკროსაფინანსო პროდუქტების ბაზარზე. ამასთანავე კრედოს პროდუქტები მიკროსაფინანსო პროდუქტების შემთხვევაში აღიქმება როგორც ყველაზე სწრაფი და გამარტივებულად მომხმარებლის მიერ, რაც მომხმარებლისათვის პროდუქტის მოხმარებისათვის გაწეულ ნაკლებ ფულად თუ სხვა რესურსის დანახარჯში აისახება. კრედოს მიზანია გაზარდოს ბრენდის უპირატესობა სხვა საფინანსო პროდუქტებზეც

არსებული მომხმარებლების შენარჩუნება/დაკარგვა და ახალი მომხმარებლების მოზიდვა - არის მაჩვენებლები რომლებსაც კრედო დიდ ყურადღებას უთმობს. კრედოს მიზანია გაზარდოს შენარჩუნების და ახალი მომხმარებლების მოზიდვის პროცენტული ნორმები და იმავდროულად შეამციროს დაკარგული მომხმარებლების პროცენტული მაჩვენებელი

მომხმარებლების გამოცდილება - არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი რასაც კრედო სისტემატიურად ზომავს, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევების საფუძველზე. შედეგების მიხედვით მიდის მუშაობა მომსახურების დონის ამაღლებაზე

ინოვაციები - ინოვაციები წარმოადგენს კრედოს კონკურენტულ უპირატესობას. სისტემატიურად ხდება იმის შეფასება თუ რა პოზიციას იკავებს კრედო ამ კუთხით ბაზარზე. რეგულარულად ხდება ინვესტიციების განხორციელება ინოვაციების მიმართულებით

ბაზრის წილი - არის კრედოსთვის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი საქმიანობის შესაფასებლად. წლების განმავლობაში კრედოს მიკროსესხების ბაზარზე ლიდერის პოზიცია უკავია. კრედოს მიზანია ლიდერის პოზიციის მოპოვება სხვა საფინანსო ბაზრებზეც

3.5 გამოყენებული პოლიტიკების აღწერა

ამ ანგარიშგების მიზნებისათვის კრედოს მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი საჯარო პოლიტიკები

მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკა - რაც გულისხმობს ასევე პასუხისმგებლიან დაკრედიტებას და ეფუძნება SMART კამპანიის მომხმარებელთა დაცვის შვიდ პრინციპს. გამომდინარე აქედან, პრინციპები, რომელიც გაწერილია დოკუმენტში, ჩაშლილია პრაქტიკულ დებულებებად სხვადასხვა ძირითად პოლიტიკებში და დანერგულია კრედოს ოპერაციებში. მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკაში ასევე გათვალისწინებულია მომხმარებელთა დაცვის ადგილობრივი

კანონმდებლობა და რეგულაციები მათ შორის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი“ და „კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

ეთიკის კოდექსი - განსაზღვრავს კრედიტის თანამშრომლების ქცევის წესებს მომხმარებლების, არსებულ თანამშრომლებთან, კომპანიის საკუთრებაში არსებულ აქტივებთან, სამსახურში აყვანის დროს ახალ თანამშრომელთა და სხვა ორგანიზაციებთან მიმართებაში.

გარემოს დაცვის პოლიტიკა - რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლების საქმიანობის დახარისხებას გარემოს დაცვის კუთხით. კრედიტ არ ურთიერთობს იმ კომპანიებთან რომლებიც არღვევენ გარემოს დაცვის ნორმებს და ვაჭრობენ პროდუქტებით რომლებიც შედიან შიდა პოლიტიკით აკრძალულ სიაში